ხალხისა და პარტიის ერთიანობა

ქვირას, 19 მარტს დიდი პოლიტიკური აღმავლობით ჩაიარა საქართველოს სსრ აღგილმბრივი საბჭოების არჩევნებმა. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მშრომელები პატრიოტული გრძნობით მოვიდნენ საარჩევნო უთუბნთან და ხმა მისცეს კომუნისტთა და უპარტიოთა სახალხო ბლოკის კანდიდატებს.

მშრომელებმა აღგილმბრივი საბჭოების დეპუტატებად აირჩიეს აღამიანები, რომლებმაც თავიანთი შრომითა და მოღვაწეობით ხალხში ავტორიტეტი და სიყვარული დაიმსახურეს. ეს ის აღამიანები არიან, რომლებიც ყველაფერზე მაღლა აყენებენ საზოგაღოებრივ ინტერესებს, სახელმწიფოებრივ ამოცანებს, რომლებსაც შრომა უყვართ, რომლებიც შრომას აღიღებენ.

ამომრჩევლებმა ხმა მისცეს ხალხის რჩეულებს, ამით ხმა მისცეს მუშაობას, ბედნიერ და საამურ ცხოვრებას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, კულტურის წინსვლასა და აღმავლობას, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სიდიაღესა და უძლეველობას.

აღგილმბრივი საბჭოების არჩევნები იყო ხალხისა და პარტიის ერთიანობის გრანდიოზული დემონსტრაცია, კომუნისტთა და უპარტიოთა სახალხო ბლოკის ახალი გამარჯვება.



აღგილმბრივი საბჭოების არჩევნებმა მთელ საქართველოში მაღალი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა. 19 მარტს რესპუბლიკის ქალაქებში და სოფლებში დილაადრიან დიდი გამოცოცხლება იყო. ყველა მიიჩქაროდა საარჩევნო უბნებისაკენ, რათა ხმა მიეცათ ხალხის რჩეულთათვის.

აღგილმბრივი საბჭოების არჩევნები ეს იყო საბჭოთა დემოკრატიის ბრწყინვალე გამარჯვება.

• • •

სურათებზე: (ზემოთ) თბილისის ოქტომბრის რაიონის № 6 საარჩევნო უბანში ხმას აძლევენ ახალგაზრდა ამომრჩევლები ნუნუ თაყაიშვილი და ნინო გიორგობიანი. ისინი წელს პირველად მონაწილეობენ არჩევნებში. (შუაში) ბათუმის რაიონის № 11 საარჩევნო უბნის ამომრჩევლები მ. თურმანიძე და ბ. ჯაფარიძე იღებენ საარჩევნო ბიულეტენებს; (ქვემოთ) სტალინირის საარჩევნო უბანში.

ფოტო შ. ჩხეტიანის, ვ. ბაბაიანისა და ვ. უბოჟენკოსი.



ხმა მისცეს სამშობლოს ძლიერებას, ხალხის კეთილდღეობას!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი | № 67 (11980) | სამშაბათი, 21 მარტი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ფართო გაქანება მშენებლობას საბჭოთა მეურნეობებში

ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა მშენებლებთან

ალმა-ატა, 19 მარტი. (საკდესი). ყაზახეთის თვალწინდენ სივრცეებში შვიდწლედის მესამე წლის გაზაფხულის ერთ-ერთ მთავარი ნიშანია დიდი მშენებლობა სოფლად, განსაკუთრებით ყამირის რაიონებში. წელს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში დასახულია აშენდეს 1,4 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი მარტო საცხოვრებელი სახლები — შარშანდელზე დაახლოებით მესამედით მეტი. სულ კი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის საბჭოთა მეურნეობებში ასიგნებულია 260 მილიონი მანეთი (ახალი ფასებით).

იქმნება სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის მძლავრი ინდუსტრიული ბაზა. შენდება დაახლოებით ორმოცდაათი სახლსამშენებელო საწარმო. მას შემდეგ რაც მწყობრში ჩადგა ყარაგანდის, სემიპალატინსკისა და ჩიმკენტის დიდი ქარხნები, რესპუბლიკა აღარ განიცდის ცემენტის ნაკლებობას. ეწყობა აგრეთვე შიფერის წარმოება. სულ უფრო ფართოდ იყენებენ მშენებლობაში ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებს.

ყაზახეთში ყოფნის დროს, ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გუშინ მეორედ შეხვდა რესპუბლიკისა და ოლქების ხელმძღვანელებს, სამეურნეო მუშაკებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს, რათა მოეთათბირნათ სასოფლო მშენებლობის საკითხებზე.

ალმა-ატის თათბირზე გაგრძელდა აკმოლინსკში დაწყებული საუბარი. შეკრებილთ საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა პროექტები გააცნო სსრ კავშირის სახმშენის სამმართველოს უფროსმა ი. კ. კოზიულიამ.

ამ სახლებს აააწყობენ რკინაბეტონის კარკასებით და სხვა უნიფიცირებული დეტალებით, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მათს ღირებულებას. ამ სახლებში ერთ-ერთ ფართობი 80-100 მანეთი დაჯდება. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი შენიშნავს, რომ ასეთი ფასი მისაღებია.

ამხ. კოზიულია შემდეგ ამბობს, რომ იმავე დეტალებით შეიძლება აშენდეს სკოლები, კლუბები, საბავშვო ბაღები და ბაგები, სასადილოები.

როგორც სოფლის მეურნეობის დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორმა ბ. ი. ნიკანდროვმა განაცხადა, მეცხოველეობის შენობების კონსტრუქციულ გადაწყვეტათა ანალიზმა ცხადყო, რომ ყველაზე ეკონომიურია შენება კარკასიანი ხისტემით, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები და აღგილმბრივი მასალები.

ამხ. ნიკანდროვმა აღნიშნა, რომ იმავე დეტალებით შეიძლება ავაწყოთ სახბორღები და საფრინველეები.

როცა მომახსენებელი ამბობს, რომ ხელსაყრელი იქნებოდა ორსართულიანი საფრინველეების აშენება, ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი შენიშნავს: რატომ არ უნდა მოვათავსოთ ფრინველი ბაკების თავზე? და რჩევას იძლევა იფიქრონ ამაზე. იგი იძლევა რეკომენდაციას ერთ-ერთ საბჭოთა მეურნეობაში ააგონ მეცხოველეობის შენობები წარმოდგენილი პროექტების მიხედვით და შეამოწმონ მათი გამოსადეგობა.

თათბირზე გამოვიდა ყაზახეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნ. ლ. ლუკმანოვი. მან დაახასიათა მეცხოველეობის შენობათა ზოგიერთი პროექტი, რომლებიც შეუმუშავებიათ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტს, რუსეთის საბჭოთა მეურნეობებისა და წყალთა მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტს და უკრაინის სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტს. იგი აღნიშნავს, რომ ამ პროექტებით ყოველთვის როდია ნაკარაუდევი აღგილმბრივი საშენი მასალების გამოყენება, რთული კონსტრუქციისა, ძვირად ჯდება: მათი აგებისათვის საჭიროა ბევრი ასაწყობი რკინაბეტონი და ხე-ტყე. მათგან განსხვავებით ხელსაყრელია პირუტყვის შენობები, რომლებსაც გვირჩევს ყაზახეთის საბჭოთა მეურნეობებისა და წყალთა მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი. ამ შენობების კონსტრუქცია უფრო მარტივია, გათვალისწინებულია აღგილმბრივი მასალების, განსაკუთრებით ლელის გამოყენება, რომელსაც ყაზახეთში დაახლოებით 14 მილიონი ჰექტარი უჭირავს.

მარცვლეულის მრეწველობის საპროექტო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პ. პ. ბრუნმა ილაპარაკა პურის მისაღები შორეული პუნქტების სამი ტიპის პროექტებზე. მათთვის შედგენილია მარცვლეულის მიღების, გაწმენდისა და გახმობის ერთიანი ტექნოლოგიური სქემა. მარცვლასაცავები აშენდება ასაწყობი რკინაბეტონით 3,5-16 ათასი ტონა ტევადობისა.

შორეულ პუნქტებში მარცვლის პირველადი დამუშავება საშუალებას მოვცემს შევამციროთ პურის მისაღები სახაზო პუნქტების მშენებლობის მოცულობა, გავადიდოთ მათი ბრუნვადობა. რკინიგზის სადგურებსა და ნავმისადგომებში უფრო ხელსაყრელი იქნება ვაშენოთ ელევატორები ავტომატიზაციის გამოყენებით.

შორეული პუნქტების შექმნა, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, საშუალებას მოგვცემს მკვეთრად შევამციროთ მარცვლეულის დანაკარგები. მათი მშენებლობა, აღნიშნა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელიც უზრუნველყოფს მარცვლეულის უკეთ შენახვას, მძიმე შრომისაგან გაათავისუფლებს მრავალ ადამიანს. მისი წინადადებაა მოიფიქრონ და გადაწყვიტონ, თუ რომელი ტიპის საცავი უფრო ხელსაყრელია.

მარცვლეულის ელევატორების მშენებლობის ახალ ეფექტიან მეთოდზე ილაპარაკა ინჟინერმა ზ. ს. შუხმანმა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის მშენებლობის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიის დირექტორმა. ამ მეთოდის არსი ის არის, რომ ელევატორის სილოსის კოშკებს დიდი რკინაბეტონის რგოლებით აწყობენ. მათი აგების ჩვეულებრივ ხერხებთან შედარებით 42 ოროცენტით მცირდება ლითონის ხარჯი და ოცდაათი პროცენტით ბეტონისა. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა შენიშნა, რომ ეს ინჟინერული გადაწყვეტაა, რომ ეს სასილოსე კოშკების მშენებლობის უფრო სრულყოფილი მეთოდია.

ამხ. შუხმანი აცხადებს, რომ ამჟამად ასეთი ელევატორების ექსპერიმენტალური ნაგებობა მშენებლობას დიდი გაჭანება ეძლევა.

თათბირის შემდეგ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა ოთხბინიანი ორსართულიანი სახლი, რომელიც აუშენებიათ რაიონული ცენტრის კასკელნის განაპირა უბანში 25 კილომეტრზე ალმა-ატიდან. ამ სახლის ასაგებად გამოყენებულია ასაწყობი რკინაბეტონის კარკასი, რომელიც ამოვსებულია ლელის ფილებით.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი შეავიდა ერთ-ერთ ბინაში. პირველ სართულში არის წინაოთახი, სამზარეულო, სასადილო-სასტუმრო და სანიტარული კვანძი. მეორე სართულზე — საწოლი და საბავშვო ოთახები. მთელი ბინის საცხოვრებელი ფართობია 42 კვადრატული მეტრი. გათბობა ცენტრალური, ინდივიდუალური, არის წყალსადენი და კანალიზაცია. საცხოვრებელი ფართობის კვადრატული მეტრი ამ სახლში 90 მანეთი დაჯდა, მაშინ როცა აგურით აგებულ სახლში — 135 მანეთი. მსგავსი მშენებლობას თუ მოვაწყობთ, ასეთი სახლები აშენდება 30-35 დღეში. განზრახულია ასეთი სახლები სამეთოთა მეურნეობების დაბებში უბნობით აშენდეს.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა სახლი და შენიშნა, რომ ასეთი შენობები შეიძლება ავაგოთ არა მარტო სოფლებში, არამედ ქალაქებშიც. მან ყურადღება მიაპყრო კედლებში ჩატანებულ განჯინებს და თქვა, ეს მოეხიბლებელია ადამიანისეულ ბინებში უნდა მოეწონოთო.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ურჩია იფიქრონ იმაზე, თუ როგორ შეცვალონ სველი გარეთა შელესვა მოპირკეთებით.

ნ. ს. ხრუშჩოვი ესტუმრა ყაზახეთის მეცნიერებს

ალმა-ატა, 19 მარტი. (საკდესი). დღეს ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. მას ახლდნენ ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. ა. კუნაევი, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. შარიპოვი, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ხ. დაულენოვი.

ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა კ. ი. სატპაევმა ნ. ს. ხრუშჩოვს გააცნო რესპუბლიკის მეცნიერთა ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაშრომი — ცენტრალური ყაზახეთის პროგნოზული მეტალოგენური რუკა, უამბო, თუ როგორ წარმოებდა მუშაობა მისი თეორიული დასაბუთებისათვის. რუკაზე ნათლად ჩანს, თუ რა აუოცხელია ამ რაიონის ბუნებრივი სიმდიდრეები.

უკანასკნელ წლებში ცენტრალურ ყაზახეთში აღმოჩენილია სასარგებლო წიაღისეულის 390 ახალი საბადო, აქედან 307 საბადო იქ, სადაც ნავარაუდევი იყო მეტალოგენური რუკით.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი დაინტერესდა ლისაკოვსკის საბადოს მადნით, რომლის ათვისება ემიდინარე შვიდწლედში დაიწყება. მეტალურგიული საწარმოები აქ გამოუშვებენ არა მარტო ლითონს, არამედ ფოსფატის წიდასაც მინდვრების გასანაყოიერებლად.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა გამოფენა, რომელიც ასახავს მეცნიერულ მიღწევებს გეოლოგიის, წყალთა მეურნეობის, ენერგეტიკის, სამთო საქმის, ქიმიის, ფიზიკის, წარმოების ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის დარგში, გვიჩვენებს მეცნიერთა მონაწილეობას შვიდწლიანი გეგმის შესრულებაში. ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ აკადემიკოსები, ინსტიტუტების დირექტორები, მეცნიერი თანამშრომლები.

აახლოებენ რა მეცნიერებას წარმოებასთან, ორმოცზე მეტი ინსტიტუტისა და ალბორატორიის კოლექტივები ახლა უშუალოდ მუშაობენ იმ რაიონებში, რომლებიც დაკავშირებულია მათი საქმიანობის პროფილთან. ფართო გაქანება ჰპოვა კვლევითმა მუშაობამ სახალხო მეურნეობის საბჭოებსა და ცალკეულ საწარმოებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით.

ენერგეტიკისა და წყალთა მეურნეობის სტენდებთან აკადემიკოს-მდივანმა შ. ჩ. ჩოკინმა ნ. ს. ხრუშჩოვს გააცნო მუშაობა დიდი ენერგეტიკული და ჰიდროტექნიკური ობიექტების მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ყაზახეთის მეცნიერებმა დაასაბუთეს, რომ საჭიროა გაუკანონ იქნას ირტიშ-ყარაგანდის 500-კილომეტრიანი არხი, განახორციელეს მისი დაპროექტების გაანგარიშებანი. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა არხის უდიდესი როლი ცენტრალური ყაზახეთის წყლით მომარაგებისათვის. დიდი მნიშვნელობა ენენება ყაზჩაღალის ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც მდინარე ილიზე აშენდება, რაც უზრუნველყოფს დაახლოებით ნახევარი მილიონი ჰექტარი მიწის მორწყვას.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ინტერესი გამოიჩინა მადნის მიწისქვეშა მოპოვების ახალი ტექნოლოგიისადმი, რომელიც სამთო საქმის ინსტიტუტის წინადადებით ჯეზყაზგანის მაღაროში ხორციელდება. მარტის დამლევს გათვალისწინებულია გაიმართოს აკადემიის გაფართოებული სამეცნიერო სესია დიდი ჯეზყაზგანის განვითარების შესახებ.

მეცნიერებთან საუბარში ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა ის პრობლემები, რომლებზეც უნდა იმუშაოს აკადემიამ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს მიართვეს საჩუქრები: კოლოფი, რომელშიც იყო ყაზახეთის უმნიშვნელოვანეს მინერალთა ნიმუშები და აღგილმბრივი ფერადი ქვის ნაკეთობანი, „ყაზახეთის სსრ ისტორიის“ ორი ტომი, წიგნი „ყაზახეთის მეცნიერება ორმოცი წლის მანძილზე“, ჯიბის ეიროიონიზატორი, რომელიც ყაზახეთის მეცნიერებმა შექმნეს.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გულთბილი მადლობა გადაუხადა მეცნიერებს, უსურვა მათ ახალი წარმატებანი შემოქმედებითს საქმიანობაში.

დღეს ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია დასასვენებელ სახლს „ყაზახეთის ათი წელი“, რომელიც ალმა-ატის მახლობლად მდებარეობს მედეოს მაღალი მთის აგარაკზე. იგი ესაუბრა ყარაგანდელ, სემიპალატინსკელ, ალმაატელ დამსვენებლებს.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა გროშურად

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ ქართულ და რუსულ ენებზე ბროშურად გამოუშვა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა „ხალხთა მტკიცე და ურღვევი მეგობრობა ჩვენი ძალა, კომუნიზმის მომავალ გამარჯვებათა საწინდარია“, წარმოთქმული ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 1961 წლის 7 თებერვალს ქალაქ თბილისში.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

ბენერალ ნე ვინის ვიზიტისათვის საბჭოთა კავშირში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ბირმაში ყოფნის დროს 1960 წელს გენერალი ნე ვინი მოიწვია საბჭოთა კავშირში. გენერალი ნე ვინი დათანხმდა ამ მოწვევაზე და ჩამოვა სსრ კავშირში ამა წლის მარტის დამლევს.

ბოდიშისგან

ვინ მოიგო „მოსკვიჩი“, პიანინო...

ბურჯაანი. (საკ. კორ.). გუშინ ბურჯაანის სარაიონო კულტურის სახლში დაიწყო საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1961 წლის პირველი გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

გათამაშების პირველ დღეს ავტომანქანა „მოსკვიჩი“ ხვდა 61505 სერიის 160 ნომერს, საწოლი ოთახის გარნიტური მოიგო 61193 სერიის 133 ნომერმა, პიანინო — 66130 სერიის 075 ნომერმა.

ამ დღეს ლატარიის ბილეთით მოგებულ დიდი ღირებულების ნივთებს შორის არის 10 მაცივარი, 15 ტელევიზორი „რეკორდი“ და სხვ.

ზეიმი ქართულ მიწაზე

თბილისი

ამ დღეს დიდი ხანია მოელოდნენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები. და აი დადგა 19 მარტიც, აღგილმბრივი საბჭოების არჩევნების დღე. ხალხის საზეიმო განწყობილება თითქოს ბუნებამაც იგრძნო. მზემ ადრეულად უზეიმა ღაღფრვნა ოქროსფერი სხივები დედამიწას, ბაზაფხულს ძალა შემატა. გაიღვიძეს ხეებზე გუნდგურნდად შემოსმსდარმა ჩიტებმაც, ჩიკჩიკითა და გალობით სიცოცხლე და სიხალისე რომ შემატეს არე-მარეს.

მაგრამ ყველას ადამიანებმა, ჩვენმა მშრომელებმა დაასწრეს, უთენია წამოიშალნენ ისინი, საზეიმოდ გამოწყობილებმა, ცოცხალ ყვავილებით ხელში, ოჯახის წევრებთან ერთად გასწიეს საარჩევნო უბნებისაკენ, რათა ხმა მიეცათ რჩეულთათვის, ჩვენი დიადი ქვეყნის ღირსეული ადამიანებისათვის, უკეთესი მომავლისათვის, მშვიდობისათვის.

დილის 6 საათზე. ლენინის რაიონის 27 საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სერგეიონ თობაძე კეთილ მოსალას უსურვებს ამომრჩევლებს და მოუწოდებს მათ შესასრულონ მოქალაქეობრივი უფლება.

საარჩევნო ყუთთან პირველი მიდის ახალგაზრდა ამომრჩეველი რესპუბლიკური ცენტრალური თვალის კლინიკის ექთანი რ. კალანდაძე, რომელიც ვერ მალავს მოზღვავებულ სიხარულსა და მღელვარებას. ეს გასაგებიც არის. იგი ხომ პირველად ასრულებდა თავის მოქალაქეობრივ ვალს, ხმას აძლევდა აღგილმბრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს. მან ხმა მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კასილ პავლეს-ძე მჟავანაძეს, ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტრომომარაგების ობილისის უბნის საკონტაქტო ქსელის მონტიორს ო. დევდარიანს.

ახალგაზრდა ამომრჩეველს შემდეგ ყუთში ბიულეტენებს უშვებენ დასასრულისები: ნ. ქუთათელი, ა. მამულაშვილი, მ. ჭურდოვანიძე, პენსიონერი პ. მაისურაძე და სხვები. მოდიან ისინი მხიარულნი, საზეიმოდ განწყობილნი.

აი საარჩევნო ბიულეტენი მიაწოდეს საკმაოდ მოხუცს გ. კირთაძეს, რომლის მკერდს ამშვენებს „საპატიო რკინიგზელის“ სამკერდე ნიშანი. ვეტერანი მემანქანე ახლა პენსიონერია.

— მე სიამოვნებით ვაძლევ ხმას ჩვენს კანდიდატებს — ამბობს იგი, — რადგან ისინი ღირსეულად გამამართლებენ მშრომელი ხალხის ნდობას, მის სურვილებს.

ღირსეული დეპუტატები — აღგილმბრივ საბჭოებში

სოხუმი

ჯერ კიდევ არ მინელებულა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი, რომ მშრომელებს ახალი ღღესასწაული გაუთენდათ — აღგილმბრივი საბჭოების არჩევნების დღე.

საქართველოს თვალწარმტაც ზღვისპირეთში, აფხაზეთის სოფლებსა და ქალაქებში კვირას დიდი გამოცოცხლება იყო. სოხუმის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 44 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვ. ბოკერიამ ამომრჩევლები მიიწვია ხმის მისაცემად. საარჩევნო ბიულეტენი პირველმა აიღო ზეინაბიანმა ნუგზარ სოტკილავამ, რომელიც წელს პირველად მონაწილეობს არჩევნებში.

აი გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის საარჩევნო უბანში ახალგაზრდული გატაცებით მოვიდა და ხმა მისცა დეპუტატობის კანდიდატებს 122 წლის ანტონ ფილიამ. მას ოცამდე ამომრჩეველი მოჰყვა, ისინი იყვნენ ანტონის მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრები, — მისი შვილები, შვილიშვილები და შვილთა შვილიშვილები.

არჩევნებზე მშრომელები ერთსულოვნად მოვიდნენ და ხმა მისცეს კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს სოხუმის, გაგრის, გუდაუთის, ოჩამჩირის, გალის, ტყვარჩელის მშრომელებმა. (საკ. კორ.).

გათუმი

გათენდა კიდევ ერთი სასიხარულო დილა, რომელსაც აჭარის მშრომელები საყოველთაო ზეიმის განწყობილებით შეხვდნენ.

განსაკუთრებით საზეიმოდ მოურთავთ მენავთობეებს თავიანთი კულტურის სასახლე, სადაც გოგებაშვილის საარჩევნო უბანია მოთავსებული.

დილის 6 საათია, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ს. დოლიძემ მიიწვია ამომრჩეველები ხმის მისაცემად.

საარჩევნო ბიულეტენი პირველმა მიიღო ვეტერანმა მენავთობემ ვლადიმერ მიქაშავიძემ, შემდეგ ხმას აძლევენ პენსიონერები ნიკოლოზ კობალავა, ვასო პატარაია, ანდრია დისკოვსკი, რომლებმაც ნახევარი საუკუნე დაპყვეს ამ ქარხანაში და ახლა დამსახურებულად ისვენებენ.

მაღალ პატრიოტულ ვითარებაში ჩაიარა არჩევნებმა ბათუმის რაიონის სახელგრისპირა სოფელ სარფსა და ხელოს რაიონის უშორეს სოფელ ხიხაძირში. აღნიშნულ სოფლებში ხმის მიცემა დღის 11 საათზე დამთავრდა.

დიდი ორგანიზებულობით ჩაიარა არჩევნებმა ბათუმის, ქედის, ქობულეთის რაიონებში, აგრეთვე შუახევისა და ხულოს რაიონების მაღალმთიან სოფლებში. (საკ. კორ.).

სტალინირი

არჩევნების წინადღეს ქარბუქი მძვინვარებდა. მეტად გაძნელდა მოძრაობა მთის საარჩევნო უბნებში. მიუხედავად ამისა, ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ამომრჩევლებს თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა მოეხადათ და ხმა მიეცათ ხალხის რჩეულებისათვის.

19 მარტს მზიანი ამინდი დადგა. სამხრეთ ოსეთის საოლქო ცენტრის სტალინირის მშრომელები ერთსულოვნად დაიძრნენ საარჩევნო უბნებისაკენ. განსაკუთრებული გამოცოცხლებაა ქალაქის ცენტრში — ი. ბ. სტალინის მოედანზე და სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სადაც საუბნო საარჩევნო კომისია იყო მოთავსებული. დღის 12 საათისთვის აქ ძირითადად უკვე დამთავრდა ხმის მიცემა.

ხმის მიცემის დამთავრების შესახებ ცნობა ადრე მოვიდა ჯავის რაიონის შორეულ მთის სოფელ ღურშევიდან. (საკ. კორ.).

ქუთაისი

ერთ დროს უკაცრიელ მაღლაკის ველზე, ახლა კი ქართული ავტომობილის მშენებელთა დაბის ტერიტორიაზე ოთხი საარჩევნო უბანია. № 3 საარჩევნო უბანში საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის ხმის მისაცემად საარჩევნო ყუთთან ზედიზედ მიდიან ქარხნის № 2 სამსმელო საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები — ბრიგადირი ამირან კაპანაძე, მეუალიბეები ამბროსი ჯეიშვილი, გივი გორგაძე, ტელმან ბროკიშვილი, ალექსანდრე მამისეიშვილი, ავტომატების საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გია ლომიძე, მთავარი კონვეიერის მძღოლი — გამომცდელი ბორის ვაშაკიძე და სხვები.

№ 6 საარჩევნო უბანში, რომელიც ელექტრომექანიკური ქარხნის ტერიტორიაზეა, ხმა მისცა 2.790 ამომრჩეველმა. ხმის მიცემა ძირითადად დღის 12 საათისათვის დამთავრდა.

დიდი პოლიტიკური აღმავლობითა და ერთსულოვნებით ჩაიარა არჩევნებმა ქუთაისის ყველა 52 საარჩევნო უბანში. მშრომელებმა საქალაქო საბჭოში აირჩიეს 297 დეპუტატი — კომუნისტთა და უპარტიოთა სახალხო ბლოკის კანდიდატები. (საკ. კორ.).

გორი

დილაადრიანად გაიღვიძა ქალაქმა გორმა, ახმაურდა ქუჩები. ყველა საარჩევნო უბნის კარი ფართოდ გაიღო ამომრჩეველებისათვის.

განსაკუთრებით ხალხმრავალი იყო მეთერთმეტე, მეცამეტე და მეთოთხმეტე საარჩევნო უბნები, ამ საარჩევნო უბნებში კენჭს იყრიდნენ გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები — წარჩინებული მრეველი, სოციალისტური შრომის გმირი ელენე გეგელაშვილი, ოსტატის თანაშემწე კარლო ბესტავაშვილი, მქსოველი ქსენია მესხიშვილი, მუშები გიული ჯუჯყიანი, ელენე კუდუხოვა, ანა ზუევა და სხვები.

არჩევნების დღე ნამდვილ ზეიმს ჰგავდა გორის რაიონის სოფლებში. ქვეყნელმა კოლმეურნეებმა გორის რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს თანასოფელი მეხილე მიხეილ რჩეულიშვილი, ბრიგადა, რომელსაც ეს სახელგანთქმული ადამიანი ხელმძღვანელობს, წელს ებრძვის იმისათვის, რომ მოსავლიერად მიჩენილი ხილის ბაღის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 140 ცენტნერი ვაშლი. (საკ. კორ.).

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა გროშურად

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ ქართულ და რუსულ ენებზე ბროშურად გამოუშვა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა „ხალხთა მტკიცე და ურღვევი მეგობრობა ჩვენი ძალა, კომუნიზმის მომავალ გამარჯვებათა საწინდარია“, წარმოთქმული ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 1961 წლის 7 თებერვალს ქალაქ თბილისში.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

ბენერალ ნე ვინის ვიზიტისათვის საბჭოთა კავშირში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ბირმაში ყოფნის დროს 1960 წელს გენერალი ნე ვინი მოიწვია საბჭოთა კავშირში. გენერალი ნე ვინი დათანხმდა ამ მოწვევაზე და ჩამოვა სსრ კავშირში ამა წლის მარტის დამლევს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით შექმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ელექტრონული ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ელექტრონული ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად დანიშნა ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე შოკინი.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ყამირის მხარის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 1961 წლის 14 მარტს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 66.

ახალი ეტაპი ყამირის ათვისებაში

ამხანაგებო! ყამირის მხარის მშრომელები კარგად მუშაობენ. მაგრამ მათ წინაშე ახალი, უფრო რთული და უფრო პასუხსაგები ამოცანები დგას.

ყამირის ათვისება არ შეიძლება გადაიჭრას ერთი ხანმოკლე იერიშით, იგი მოითხოვს გეგმაზომიერ და მიზანსწრაფულ მუშაობას, რომელიც გათვალისწინებულია ხანგრძლივი პერიოდისათვის. წლითიწლობით მეყამირეთა წინაშე დადგება ახალი პრობლემები.

ჩვენ ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ ახლა დადგა ყამირი მიწების ათვისების ახალი, მეორე ეტაპი. პირველ ეტაპზე ჩვენ მოკლე ვადაში შევძელით მოგვეხნა ათეულ მილიონობით ჰექტარი ყამირი და მკვეთრად გაგვედიდებინა მარცვლეულის წარმოება ჩვენს ქვეყანაში. ახლა, მეორე ეტაპზე, უნდა ავამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა, წლითიწლობით ვზარდოთ მოსავლიანობა და მკვეთრად გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ყამირის რაიონები გახდა სასაქონლო პურის წარმოების დიდი ცენტრი, ისინი უნდა გადავაქციოთ აგრეთვე ხორცის, რძის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების დიდ ცენტრად.

რა კონკრეტული ამოცანები დგას ყამირის მხარის მშრომელთა წინაშე?

ყამირის რაიონების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება, მოსავლიანობის გადიდება.

ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა უნდა გააიდონ მარცვლეულის წარმოება, რათა ყოველწლიურად მიჰყიდონ სახელმწიფოს სულ ცოტა 1 მილიარდი ფუთი პური, აქედან ყამირის მხარემ — 750 მილიონი ფუთი. ეს მინიმუმია, ამხანაგებო! მაგრამ ახლა ჩვენ ნუ დავაზუსტებთ, რამდენად მეტი შეგიძლიათ მიჰყიდოთ პური სახელმწიფოს, ამას შემდეგ გავაკეთებთ.

ეს ამოცანა შეიძლება შეავასრულოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები აამაღლებენ მიწათმოქმედების კულტურას, აითვისებენ სწორ თესლბრუნვას, კარგად დააყენებენ მეთესლეობას, უნარიანად მოაწყობენ შრომას და ნაყოფიერად გამოიყენებენ ტექნიკას. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება უზრუნველყოთ უხვი და მყარი მოსავლის მიღება.

ყამირი მიწები ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტად ოქროს განძია. და მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მტკიცედ დავეყრდნობით მეცნიერების მიღწევებსა და სოფლის მეურნეობის წარმოების მოწინავე გამოცდილებას.

როგორც ყამირის ათვისების ზოგიერთი ვეტერანი მოგვითხრობდა, ზოგი ვინმე პირველ წლებში გამოთქვამდა ეჭვს, იხარებს თუ არა რაიმე ამ მიწებზე. პირველმავე წლებმა, პირველმა მოსავალმა საბოლოოდ გაფანტა ყოველგვარი ეჭვი. უზარმაზარ ფართობებზე მიღებულმა უხვმა მოსავალმა დაგვანახვა, რომ ნიადაგი თქვენ კარგი გაქვთ, ჰავის პირობები ხელსაყრელია ბევრი კულტურის მოყვანისათვის.

ნახეთ, რა სიმდიდრე გადაიშალა აქ! 1955 წელს ყამირ მიწებზე შეიქმნა ოქტომბრის რაიონი. დაუსახლებელ ტრამალში წარმოიშვა 14 დიდი საბჭოთა მეურნეობა. მათ აითვისეს 522 ათასი ჰექტარი ყამირი. 1953 წლამდე ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო 4 პატარა კოლმეურნეობა, რომლებიც 8.400 ჰექტარ მიწას ამუშავებდნენ და სახელმწიფოს 70-100 ათას ფუთ პურს ასყიდებდნენ.

აითვისა რა ყამირი, ოქტომბრის რაიონი ყოველწლიურად ჰყიდის დიდძალ მარცვლეულს. მარცვლეულის საშუალო წლიურმა გაყიდვამ უკანასკნელ ხუთ წელიწადში შეადგინა 19,4 მილიონი ფუთი, პურის საქონლიანობამ — 77 პროცენტი.

ოქტომბრის რაიონში 1956 წელს შეიქმნა ახალი საბჭოთა მეურნეობა „ჟელეზნოდოროჟნი“. საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ზ. ა. ფრანკს ყამირის ათვისებაში წარმატებებისათვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. ამ საბჭოთა მეურნეობამ აითვისა 70 ათასი ჰექტარი ყამირი და მიიღო საშუალო მოსავლიანობა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში 11 ცენტნერზე მეტი ხორბალი ჰექტარზე. საშუალოდ ხუთი წლის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობა ყოველწლიურად ასყიდებდა სახელმწიფოს 3 მილიონ ფუთ მარცვლეულს. ცენტნერი მარცვლეულის თვითღირებულება საბჭოთა მეურნეობაში 25 მანეთია (ძველი ფულით). ეს კარგია. ერთ მომუშავეზე 1960 წელს საბჭოთა მეურნეობა „ჟელეზნოდოროჟნიში“ წარმოებულია 5 ათასი ფუთი მარცვლეული.

აკმოლინსკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ზარეჩნიში“, რომლის დირექტორია ი. ა. ილინოვი და რომელმაც აითვისა 42 ათასი ჰექტარი, ხუთი წლის განმავლობაში საშუალო მოსავალმა შეადგინა 15 ცენტნერი ჰექტარზე. **(ტაში).**

ყამირზე ძირითადი მარცვლეული კულტურა ხორბალია. ამასთან საჭიროა დაითესოს სხვა მარცვლეულიც, აგრეთვე პარკოსანი კულტურები. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი ძვირფასი კულტურების მოყვანას, როგორიც არის ქერი, წიწიბურა, ფეტვი, ბარდა, საკვები პარკოსნები, ცერცველა, საზეთე სელი და სხვა კულტურები.

აღარ ვილაპარაკებ ყველა ამ კულტურის წარმოების დეტალებზე. აქ გამოვიდნენ საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, აგრონომები, მეცნიერები, წარმოების ნოვატორები. მათ მშვენივრად ილაპარაკეს ამაზე. მაგრამ მათი ნათქვამი არ ამოწურავს ყველა საკითხს. საჭიროა შევისწავლოთ ლიტერატურა და მოწინავე გამოცდილება, რომელიც ჩვენ გვაქვს, რათა უკეთ გამოვიყენოთ მეცნიერების და მოწინავე გამოცდილების მიღწევები წარმოების უფრო მაღალ დონეზე ორგანიზაციისათვის.

შეუძლებელია მეურნეობის გაძღოლა, თუ არ გვექნა კარგად დაყენებული მეთესლეობა. ამავე დროს, ამ საქმეში თქვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გაქვთ. ყამირის მხარეში მეტ წილ ფართობებზე ითესება საგვიანო ჯიშები. შარშან საგვიანო ხორბალი 11 მილიონ ჰექტარზე ეთესათ, ანუ საგაზაფხულო ხორბლის მთელი ნათესების 83 პროცენტი. ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რა დაძაბულობა იქმნება მოსავლის აღებაზე, როცა ერთსა და იმავე დროს გვიან მწიფდება პური.

მთლიანად ყამირის მხარეში 1960 წელს დაითესა: დარაიონებული ჯიშიანი თესლი 45 პროცენტი, ჩვეულებრივი თესლი—55 პროცენტი. საჭიროა წესრიგი დავამყაროთ თესლის საქმეში, მოვაწყოთ საუკეთესო ჯიშების წარმოება სპეციალურ მეურნეობებში. სოფლის მეურნეობის მოწინავენი და სპეციალისტები შეშფოთებით ლაპარაკობენ იმაზე, რომ მთელ რიგ მეურნეობებში ყამირ მიწებზე ბევრია სარეველები. განსაკუთრებით შვრიუკა. კუსტანაის ოლქის კამიშნოვს რაიონის გორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში მინდვრები დაფარულია სარეველა ბალახებით, თესლბრუნვა არ არის. მოსავალი შეადგენს 6-7 ცენტნერ მარცვლეულს ჰექტარზე. ეს სერიოზული სიგნალებია, ამხანაგებო! საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ წესრიგი დავამყაროთ მიწაზე.

მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა მოუთესავი ანეულების შესახებ. მე მომხრე ვარ მოუთესავი ანეულებისა ყაზახეთში, იმიტომ რომ ბევრი მინდორი მეტად დასარეველიანებულია. მაგრამ ამასთანავე უნდა გაფართოვდეს სათოხნი კულტურების ნათესი.

უნდა შევისწავლოთ ისეთი მეურნეობის გამოცდილება, როგორიცაა, მაგალითად, ალტაის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელიც მემინდვრეობას ეწევა ისე, რომ არა აქვს მოუთესავი ანეული. მაგრამ აქვს ფართო მწკრივად ნათესი ყანა. ამის შედეგად ინსტიტუტის მეურნეობას საშუალოდ ჰექტარ ხნულში მოჰყავს მეტი პროდუქცია, ვიდრე იმ მეურნეობებს, რომლებსაც მოუთესავი ანეული აქვთ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბრძოლას შვრიუკისა და სხვა სარეველების წინააღმდეგ. ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თესლის ხარისხს, მის გაწმენდას სარეველებისაგან.

ახლა მთავრობა იღებს ღონისძიებებს ჰერბიციდების წარმოების გადიდებისათვის. მაგრამ სანამ ჰერბიციდები არ არის, უნდა ვიბრძოლოთ სარეველების წინააღმდეგ აგროტექნიკური საშუალებებით.

სხვათა შორის, ლაბორატორიულად ჩვენში ახლა ათვისებულია შვრიუკის წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური საშუალებანი. ისინი ძალიან კარგად მოქმედებენ. მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ ლაბორატორიული წესით დამზადებული საშუალებებია. უნდა ავითვისოთ მათი მასობრივი წარმოების ტექნოლოგია.

ვაწარმოოთ ხორცი 75 ცენტნერი ას ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერი ას ჰექტარ სხვა სავარგულებზე

ამხანაგებო! ჩემს გამოსვლებში ურალსა და ციმბირში მე უკვე შევეხე ყამირის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების როლს ხორცისა და რძის წარმოების გადიდებაში, იმ ამოცანის გადაჭრაში, რომ დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მხრივ.

თქვენი მხარისათვის ხორცის წარმოების გადიდების ამოცანა განსაკუთრებით აქტუალურია. შესაძლებლობანი უდიდესი გაქვთ. საბჭოთა მეურნეობებს აქვთ 50-60 ათასი ჰექტარი და მეტი მიწა თვითეულს. ამ მიწებზე შეიძლება ვაწარმოოთ საკვები ისეთი რაოდენობით, რომელიც საშუალებას მოგვცემს გადავაქციოთ ყამირის მხარე ყველაზე განვითარებული მეცხოველეობის მხარედ. **(ტაში).**

ახლა დადგა დრო ხმამაღლა ვთქვათ, რომ ყამირი მიწები კიდევ უკეთ უნდა გამოვიყენოთ მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. ამის განხორციელება ერთბაშად, ხელის ერთი მოქნეკით, არ შეიძლება, მაგრამ კარგი საფუძველი ახლა უნდა შევქმნათ. იფიქრეთ იმაზე, როდის, რა ვადებში შეძლებენ ყამირის მეურნეობანი მიაღწიონ საჭირო დონეს მეცხოველეობის განვითარებაში.

ჩვენ ხორცისა და რძის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლა უნდა მივიჩნიოთ ახალ ეტაპად ყამირის საბჭოთა მეურნეობების განვითარებაში. კი არ უნდა შევაჩვენს ქვეყანაში უნდა ვაწარმოოთ 20-21 მილიონი ტონა ხორცი დაკლული წონით. ამდენი ხორცი რომ მივიღოთ სახნავისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების აღნიშნული თანაფარდობის დროს, უნდა ვაწარმოოთ: ას ჰექტარ სახნავზე — **75 ცენტნერი ხორცი დაკლული წონით** (მთელ სახნავზე ეს იქნება 16 მილიონ 500 ათასი ტონა); ას ჰექტარ სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე — **16 ცენტნერი ხორცი დაკლული წონით** (სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა მთელ ფართობზე 4 მილიონ 500 ათასი ტონა). მთელი ამის ჯამი იქნება 21 მილიონი ტონა ხორცი დაკლული წონით.

გასაგებია, რომ ხორცის წარმოების მაჩვენებელი — 75 ცენტნერი 100 ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერი 100 ჰექტარ სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე საშუალოა ჩვენი ქვეყნისათვის. ამიტომ სწორი არ იქნება, რომ ეს შევუფარდოთ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას, რაიონებს, ოლქებსა და რესპუბლიკებს. ბევრმა რაიონმა ხორცი უნდა აწარმოოს დაახლოებით ორჯერ მეტი, ვიდრე მთელი ჩვენი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელია.

მე მიმაჩნია, რომ ეს სწორი იქნება. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყამირის რაიონებში ხორცის წარმოება საშუალო დონეზე ნაკლები იქნება. ხოლო თუ თქვენ კარგად შეისწავლით თქვენს შესაძლებლობებს და უზრუნველყოფთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას მთელი ჩვენი ქვეყნის საშუალო დონეზე მეტი ოდენობით, ხალხი ამისათვის დიდ მადლობას გეტყვით. **(ტაში).**

ხორცის წარმოების დონე თვითეულ რესპუბლიკაში უნდა განისაზღვროს კონკრეტული პირობების მიხედვით. ავიღოთ, მაგალითად, უკრაინა. მან თავისთვის უკვე განსაზღვრა ხორცის წარმოების დონე, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება ჩვენი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა სოფლის მეურნეობის მუშაკთა ფართო მონაწილეობით, ნაკისრია კონკრეტული ვალდებულებანი. ას ჰექტარ სახნავსა და ას ჰექტარ სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ხორცის წარმოების საშუალო საერთო საკავშირო მაჩვენებელზე გაცილებით მეტი უნდა ჰქონდეთ რუსეთის ფედერაციას, ბელორუსიას, ლატვიას, ლიტვას, ესტონეთსა და ზოგიერთ სხვა რესპუბლიკას.

თვითეულმა რესპუბლიკამ და ოლქმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს თავისი შესაძლებლობანი. რაც უფრო კარგად გამოვიყენებთ ჩვენს მიწას, მით უფრო მდიდარი იქნება საბჭოთა ქვეყანა, მით უკეთესად იცხოვრებს ყველა საბჭოთა ადამიანი.

საკვების მოთხოვნილების გაანგარიშებანი აღნიშნული რაოდენობის ხორცის წარმოებისათვის იგივე რჩება, რაც დავასახელე ჩემს გამოსვლაში სვერდლოვსკში. მაგრამ ვიმეორებ მათ.

რამდენი საკვები იქნება საჭირო იმისათვის, რომ საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში ვაწარმოოთ 75 ცენტნერი ხორცი დაკლული წონით ას ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერი ხორცი ას ჰექტარ სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე?

თუ ასეთი რაოდენობით მივიღებთ ხორცს მხოლოდ სიმინდის სილოსით ნაკვები ძროხის ხორცის სახით, მაშინ ყოველ ას ჰექტარ სახნავ მიწაზე უნდა დავთესოთ 19,5 ჰექტარი სიმინდი. მე ვიღებ 400 ცენტნერ სიმინდს ჰექტარზე, რაც შეესაბამება დაახლოებით 300 ცენტნერ სილოსს. 300 ცენტნერი სილოსი 60 ცენტნერი საკვები ერთეულია. კილოგრამ წონამატებას ექვსი საკვები ერთეული სჭირდება. მაშასადამე, ასეთი რაოდენობის საკვებით შეიძლება მივიღოთ 10 ცენტნერი ძროხის ხორცი ცოცხალი წონით ანუ 5 ცენტნერი დაკლული წონით.

მაგრამ ეს გაანგარიშება ემყარება იმას, თუ მთელი ხორცი წარმოებული იქნება სიმინდის სილოსით ნაკვები ძროხის ხორცის სახით.

თქვენ დიდი შესაძლებლობები გაქვთ ღორის ხორცის წარმოებისათვის. საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები ღორებს აჭმევენ ერთგვარი რაოდენობით სიმინდის სილოსს. მაგრამ ღორებს საკვებად დასჭირდებათ უმთავრესად მარცვალი ან საკვები ძირხვენები შაქრის ჭარხლის სახით ან გორგლეული კარტოფილის სახით. მაგრამ თქვენში კარტოფილი უფრო მცირე მოსავალს იძლევა, ვიდრე შაქრის ჭარხალი. როგორც ჩანს, კარტოფილთან შედარებით უფრო ხელსაყრელია ღორები გაასუქოთ შაქრის ჭარხლით.

თუ მივიღებთ, რომ ნახევარი ხორცი წარმოებული იქნება ძროხის ხორცის სახით, ნახევარი კი — ღორის ხორცის სახით, მაშინ რამდენი უნდა დაითესოს მეურნეობაში სასილოსე სიმინდი და რამდენი შაქრის ჭარხალი?

ჰექტარი შაქრის ჭარხალი, როცა მოსავალი 200 ცენტნერია (ფოჩის ჩაუთვლელად), იძლევა 52 ცენტნერ საკვებ ერთეულს. ერთი კილოგრამით ღორის წონამატებისათვის იხარჯება 5 საკვები ერთეული. მივიღოთ 52 ცენტნერი საკვები ერთეული — ეს ნიშნავს იმას, რომ მივიღოთ 10 ცენტნერი ღორის ხორცი ცოცხალი წონით, ანუ 7 ცენტნერი დაკლული წონით.

ამრიგად, იმისათვის, რომ მივიღოთ ნახევარი ხორცი ძროხის ხორცის სახით, ნახევარი კი — ღორის ხორცის სახით, საჭიროა ას ჰექტარ სახნავზე დავთესოთ: 9,7 ჰექტარი სიმინდი, 7 ჰექტარი შაქრის ჭარხალი.

სწორედ ამდენი საკვები უზრუნველყოფს 75 ცენტნერი ხორცის წარმოებას ას ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერი ხორცის წარმოებას ას ჰექტარ სხვა სასოფლო - სამეურნეო სავარგულებზე.

მინდოდა მომეყვანა ზოგიერთი გაანგარიშება თქვენს პირობებთან შეფარდებით, აკმოლინსკში რომ მოვდიოდი, გზად ვეწვიე კოქჩეტავის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კანტემიროვეცს“, რომლის დირექტორია ა. ა. ცაპოვი. ამ საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა დიდ წარმატებებს მიაღწია მარცვლეულის წარმოების გადიდებაში. საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს დაეკალათ გამოეანგარიშებინათ, თუ რამდენი საკვები უნდა ჰქონდეთ, რამდენი უნდა დათესონ სიმინდი და შაქრის ჭარხალი იმისათვის, რომ აწარმოონ — 75 ცენტნერი ხორცი დაკლული წონით ას ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერი — ას ჰექტარ სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

საბჭოთა მეურნეობა „კანტემიროვეცს“ აქვს 33 ათას 426 ჰექტარი სახნავი და 10 ათას 752 ჰექტარი სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

სახნავისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ასეთი თანაფარდობის დროს საბჭოთა მეურნეობამ, მისი მუშაკების გაანგარიშებით, ხორცი უნდა აწარმოოს შემდეგი რაოდენობით დაკლული წონით:

სახნავზე	— 25.079 ცენტნერი
სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე	— 1.721 ცენტნერი
სულ საბჭოთა მეურნეობამ უნდა აწარმოოს	— 26.800 ცენტნერი ხორცი.

კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს ყველაზე მიზანშეწონილად მიაჩნიათ ხორცის წარმოების შემდეგი სტრუქტურა:

ძროხის ხორცი	— 13.400 ცენტნერი, ანუ 50 პროცენტი
ღორის ხორცი	— 8.040 ცენტნერი, ანუ 30 პროცენტი
ცხვრის ხორცი	— 1.340 ცენტნერი ანუ 5 პროცენტი
ფრინველის ხორცი	— 3.216 ცენტნერი ანუ 12 პროცენტი
ცხენისა და სხვა სახეობათა ხორცი	— 800 ცენტნერი ანუ 3 პროცენტი

როგორ წყდება ხორცის ასეთი რაოდენობით წარმოებისათვის საკვებით უზრუნველყოფის ამოცანა.

სიმინდის სილოსის გამოყენებით მიღებულ იქნება 10.720 ცენტნერი ძროხის ხორცი, ანუ 80 პროცენტი. მემინდვრეობის ნარჩენების გამოყენებით — 2.680 ცენტნერი, ანუ 20 პროცენტი.

ღორის ხორცის ნახევარი — 4.020 ცენტნერი მიღებულ იქნება მარცვალ-ფურაჟის კულტურებისა და მარცვლეულის ნარჩენების გამოყენებით, ხოლო მეორე ნახევარი — აგრეთვე 4.020 ცენტნერი — შაქრის ჭარხლის გამოყენებით.

იმისათვის, რომ აღნიშნული რაოდენობით მიიღონ ძროხის ხორცი სიმინდის გამოყენებით და ღორის ხორცი შაქრის ჭარხლის გამოყენებით, უნდა დაითესოს ას ჰექტარ სახნავზე:

სიმინდი: — 6,4 ჰექტარი, როცა ჰექტარზე მოდის 300-400 ცენტნერი სასილოსე სიმინდი, შაქრის ჭარხალი — 2 ჰექტარი, როცა ჰექტარზე მოდის 150 ცენტნერი.

ამრიგად, საბჭოთა მეურნეობაში სულ უნდა დაითესოს 2.144 ჰექტარი სიმინდი და 660 ჰექტარი შაქრის ჭარხალი.

ცხვრის ხორცი საბჭოთა მეურნეობაში წარმოებულ იქნება ბუნებრივი საძოვრებისა და მემინდვრეობის ნარჩენების გამოყენებით.

ფრინველის ხორცი წარმოებულ იქნება მემინდვრეობის მარცვლეულის ნარჩენებით. ასეთია გაანგარიშება ცალკეულ საბჭოთა მეურნეობასთან შეფარდებით. როგორც ეს გაანგარიშება გვიჩვენებს, ხორცის წარმოების გადიდების ამოცანები სავსებით რეალურია.

მოვიყვან რამდენიმე გაანგარიშებას კუსტანაის ოლქის შეფარდებით, რომლებიც სპეციალისტებმა მოამზადეს.

სულ სახნავი ოლქში არის 6 მილიონი ჰექტარი, სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები — 11 მილიონი ჰექტარი.

სავარგულების ასეთი თანაფარდობის დროს ოლქმა უნდა აწარმოოს:

სახნავზე — 450 ათასი ტონა ხორცი დაკლული წონით (75 ცენტნერი 100 ჰექტარ სახნავზე.).

სხვა სავარგულებზე — 176 ათასი ტონა ხორცი დაკლული წონით (16 ცენტნერი ას ჰექტარ სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე).

სულ 626 ათასი ტონა ხორცი დაკლული წონით.

ხორცის წარმოების სტრუქტურა დაახლოებით შემდეგი იქნება:

ძროხის ხორცი	— 219 ათასი ტონა, ანუ 35 პროცენტი,
ღორის ხორცი	— 188 ათასი ტონა, ანუ 30 პროცენტი,
ცხვრის ხორცი	— 125 ათასი ტონა ანუ 20 პროცენტი,
ფრინველის ხორცი	— 75 ათასი ტონა, ანუ 12 პროცენტი,
ცხენის ხორცი და სხვა სახეობათა ხორცი	— 19 ათასი ტონა, ანუ 3 პროცენტი.

ა. სამაიბაევი. ცხენის ხორცი ცოტაა!

ნ. ს. ხრუშჩოვი. მენახირე ამხ. სამაიბაევი ამბობს, ცხენის ხორცი ცოტააო. ვეთანხმები მას. მიმაჩნია, რომ ცხენის ხორცი იმდენი უნდა აწარმოოთ, რამდენიც შეუძლია თქვენს ველს. ამხ. სამაიბაევი კარგად გამოვიდა თათბირზე. იგი თავისი საქმის პროფესორია. მან მშვენივრად იცის ეს საქმე და საგულისხმო გამოცდილება გაგვიზიარა. მან განაცხადა, ცხენის ხორცი, რომელიც ყაზახებსა და სხვა ხალხებს უყვართ, ძალიან იაფი ხორციაო. ცხენის საძოვებლად ხალხი ცოტაა საჭირო. ცხვართან შედარებით ცხენი უფრო ამტანია ველებში, იგი ადვილად შოულობს საკვებს. ზამთარშიც კი ცხენი ქაჩაჩით გადათხრის თოვლს და საკვების შოვნაში ეხმარება ცხვარს, რომელიც ცხენის ჯოგს მიჰყვება.

ჩვენს ქვეყანაში ბევრი სხვადასხვა ეროვნებაა, რომლებიც ცხენის ხორცს ხმარობენ. ახლა ზოგიერთი რუსი, უკრაინელი, ბელორუსი აგრეთვე ჭამს ცხენის ხორცს, განსაკუთრებით ძეხვეულს. **(გამოცოცხლება დარბაზში).** როცა ყაზახეთში ან უზბეკეთში ვარ, ყოველთვის ვთხოვ ჩემს მეგობრებს, როგორც სტუმარს, „დრუჟბის“ ძეხვით გამიმასპინძლდნენ. მე უკვე აგიხსენით, თუ რა ძეხვია „დრუჟბა“, — ეს ცხენის ხორცის ძეხვია, რომელსაც ღორის ქონი ურევია. **(მხიარული გამოცოცხლება).**

აქ, მე ვიტყოდი, არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ სხვადასხვა ხალხის ტრადიციულ საჭმელს. ყაზახები, რომლებიც წინათ რელიგიური რწმენის გამო სრულებით არ სჭამდნენ ღორის ხორცს, ამ ბოლო დროს ზრდიან ღორებს და ზოგიერთი ხმარობს ღორის ხორცს. ჩვენს ქვეყანაში ყაზახებს, უზბეკებს, თათრებს, ბაშკირებსა და სხვა ეროვნებათა ადამიანებს უყვართ ცხენის ხორცი და, პირიქით, ნაკლებად ხმარობენ ღორის ხორცს. მაშ რატომ არ უნდა ვაწარმოოთ ცხენის ხორცი? ეს არ იქნებოდა გონივრული. ჩვენ უნდა ცხენის ხორციც ვაწარმოოთ. და აი მოგმართავთ — აწარმოეთ ცხენის ხორცი. **(ტაში).** ნებაყოფლობის საქმეა, თუ არ გსურთ ჭამოთ ცხენის ხორცი, ინებეთ ღორის ხორცი, ქათმის ხორცი, იხვის ხორცი, ძროხის ან ცხვრის ხორცი. ხოლო თუ ცხენის ხორცი გიყვართ, ჭამეთ და შეგერგოთ! **(ტაში).**

ახლა მეთანხმებით, ამხანაგო სამაიბაევ?

ა. სამაიბაევი. გეთანხმებით!

ნ. ს. ხრუშჩოვი. როგორც ხედავთ, ჩვენ, მე და ამხ. სამაიბაევმა, მივაღწიეთ შეხედულებათა ერთიანობას! **(ტაში).**

მაგრამ დავუბრუნდეთ გაანგარიშებას კუსტანაის ოლქში. როგორ შეიძლება საკვებით უზრუნველვყოთ მეცხოველეობა, რომ ვაწარმოოთ ხორცის საჭირო რაოდენობა? 70 პროცენტი, ანუ 153 ათასი ტონა ძროხის ხორცი გათვალისწინებულია მიღებულ იქნას სიმინდის გამოყენებით. ამისათვის უნდა დაითესოს 5,6 ჰექტარი სიმინდი ას ჰექტარ სახნავზე, ანუ 300 ათასი ჰექტარი სიმინდი. ცოტა ადამიანად ეგონა, ალბათ, ამ მიღებულ იქნას მოსავალი სულ ცოტა 300-400 ცენტნერი ჰექტარზე. ამდენი სიმინდის დათესვას არ მოჰყვება მარცვლეულის ნათესების შემცირება, რამდენადაც ახლაც ოლქში სიმინდს უჭირავს 300 ათასამდე ჰექტარი. საქმე მხოლოდ მოსავლიანობაა. კუსტანაის ოლქის საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები ამჟამად იღებენ მცირე მოსავალს — სულ დაახლოებით 100 ცენტნერს ჰექტარზე. აქედან გამომდინარეობს ამოცანა — მკვეთრად გაადიდონ სიმინდის მოსავლიანობა.

დანარჩენი 30 პროცენტი, ანუ 66 ათასი ტონა ძროხის ხორცი მიღებული იქნება მემინდვრეობის ნარჩენების და ბუნებრივი საკვების სავარგულების გამოყენებით.

რა საკვებით უნდა იქნას უზრუნველყოფილი ღორის ხორცის წარმოება? 30 პროცენტი, ანუ 55 ათასი ტონა ღორის ხორცი გათვალისწინებულია მიღებულ იქნას შაქრის ჭარხლის და 70 პროცენტი, ანუ 133 ათასი ტონა მემინდვრეობის ნარჩენებისა და საკვებად დათესილი საფურაჟე კულტურების გამოყენებით. ამისათვის ას ჰექტარ სახნავზე უნდა დაითესოს 1,6 ჰექტარი შაქრის ჭარხალი, ანუ 100 ათასი ჰექტარი მთლიანად ოლქში, და მიღებულ იქნას 150 ცენტნერი ძირები ჰექტარზე.

სიმინდის და შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობები მოცემულ განაგარიშებაში განკუთვნილია მხოლოდ ხორცის წარმოებისათვის. თუ გავითვალისწინებთ საკვების მოთხოვნილებას რძის წარმოებისათვის, სიმინდისა და სხვა კულტურების ნათესი ფართობი, ცხადია, გადიდდება.

ცხვრის ხორცის წარმოება დაგეგმილია ბუნებრივი საძოვრებისა და მემინდვრეობის ნარჩენების, ხოლო ფრინველის ხორცისა — მარცვლეული მეურნეობის ნარჩენების გამოყენებით. ამასთან უპირატეს ადგილს დაიკავებს წყლის ფრინველი.

ამრიგად, საკვებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით თქვენ შესაძლებლობა გაქვთ მოკლე ვადაში მიაღწიოთ ხორცის წარმოების საჭირო დონეს. როგორია პირუტყვის სულადობის ვითარება? გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ ცხვრის, ღორის, აგრეთვე ფრინველის სულადობაში ყამირის მხარის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს, თუ კარგად გაუძღვებიან საქმეს, შესაძლებელია აქვთ საკუთარი რესურსებით მიაღწიონ საჭირო დონეს. რამდენადმე უფრო რთულია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის საქმე. თქვენ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა ძროხა გყავთ. ამიტომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი რეზერვები უნდა გამოიყენოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გასაადიდებლად. ამასთანავე უნდა იფიქროთ იმაზე, რომ ყამირის მხარეში სხვა რაიონებიდან, მაგალითად, მოსკოვის ოლქიდან, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან, ბელორუსიიდან შემოიყვანოთ გარკვეული რაოდენობით უშობლები, რომლებსაც იქ არ იყენებენ ჯოგის მომრავლებისათვის, არამედ კლავენ სახორცედ. იქ პირუტყვი, როგორც წესი, ჯიშიანი და პროდუქტიულია. თქვენ შეძლებდით ასეთი უშობლებისაგან კარგი ძროხები გამოგეზარდათ. ეს საკითხი უნდა შევისწავლოთ.

ასეთია თქვენი შესაძლებლობანი, ამხანაგო კუსტანაელებო. მე არ მოვითხოვ გადასინჯოთ თქვენი ვალდებულებანი, გაადიდოთ გეგმები. მინდა მხოლოდ ცოტა ავწიო ფარდა, რომ დაინახოთ პერიზონტი, ოლქში მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივა.

თქვენში დიდი ტერიტორია საძოვრებს უჭირავს. თათბირზე საოლქო კომიტეტების მდივნები ამბობდნენ, ერთ ჰექტარ საძოვრებზე 3-4 ცხვრის შენახვა შეიძლებაო. დაე საშუალოდ იყოს თუნდაც სამი ცხვარი ჰექტარზე, მათგან ორი გამოყენებული იქნება ჯოგის შესავსებად, ხოლო ერთი— სახორცედ.

როგორც ხედავთ, მოყვანილი გაანგარიშებანი მოწმობენ, რომ დასახული ამოცანა რეალურია. თქვენ იტყვით, ამაზე უნდა ვიმუშაოთო. სწორია, უნდა ვიმუშაოთ და ვიმუშაოთ დაძაბულად, თუ ხელი არ გაანძრიე, თავისით არაფერი მოგერთმევა. მე გთხოვთ, დაუფიქრდით, მოეთათბირეთ მუშებსა და კოლმეურნეებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, გამოიანგარიშეთ რეზერვები და მიიღეთ სწორი გადაწყვეტილება. და თუ მიიღებთ გადაწყვეტილებას, გამონახეთ ძალები, გამოიჩინეთ ორგანიზატორული უნარიც, რათა თქვენი გადაწყვეტილება განხორციელდეს. **(ტაში).**

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

ამხანაგებო! მინდა მოვიყვანო რამდენიმე ციფრი, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რამდენად გაიზრდება ხორცის წარმოება ყამირის მხარეში, როცა თქვენ მიაღწევთ ხორცის წარმოების დონეს — 75 ცენტნერს ას ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერს ას ჰექტარ სხვა სავარგულებზე.

ხორცის წარმოება ყამირის მხარეში

1959 წელი	165 ათასი ტონა დაკლული წონით
1960 წელი	177 ათასი ტონა დაკლული წონით
1961 წელი (გეგმა)	220 ათასი ტონა დაკლული წონით
1965 წელი (გეგმა)	380 ათასი ტონა დაკლული წონით

იმისათვის კი, რომ მივაღწიოთ ხორცის წარმოების დასახულ დონეს, საჭიროა ყამირის მხარეში ვაწარმოოთ 1 მილიონ 975 ათასი ტონა ხორცი დაკლული წონით. როცა ამ ზღუდეს ვასახელებ, მე მინდა, რომ ყამირის საბჭოთა მეურნეობებმა, როგორც იტყვიან, თავიანთი ძალღონით სინჯონ, თუ რას ნიშნავს იმ ამოცანის გადაჭრა, რომ დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს. შეერთებული შტატები მსხვილი კაპიტალისტური ქვეყანაა, მას აქვს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოების ყველაზე მაღალი დონე კაპიტალისტურ სამყაროში. ამიტომ მისი დაწევა სირცხვილი როდია, ხოლო როცა დავეწევით, შეიძლება გავიხაროთ და ვთქვათ: დაძაბულად ვიმუშავეთ, მაგრამ შედეგიც კარგი მივიღეთ. **(ტაში).** შესაძლებლობანი ასეთი დონის მიღწევისათვის გაქვთ, მაგრამ, ვიმეორებ, სერიოზულად უნდა იმუშაოთ!

ამხანაგებო! ჩემს გამოსვლაში ჩრდილოეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე მე ვთქვი, რომ იქნებ საჭიროა შემოვიღოთ ოქროს წიგნი, რომელშიც შევიტანთ იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებმაც თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს წარმოების განვითარებაში. როცა ასეთ წიგნს შემოვიღებთ, მასში შევიტანთ არა მარტო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. წიგნში უნდა შევიტანოთ საბჭოთა მეურნეობების მუშათა და კოლმეურნეთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სახელებიც.

როცა პირველ ათას კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას შევიტანთ ოქროს წიგნში, ჩვენ ამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლებს მივიწვევთ მოსკოვში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე. რა თქმა უნდა, ჩვენში ახლაც არის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ოქროს წიგნში შეტანის ღირსი არიან, მაგალითად, ისეთები, როგორიც არიან კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობა, სადაც თავმჯდომარეა ე. ი. ანდრეევა, ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, სადაც თავმჯდომარეა ს. კ. კოროტკოვი, სოფელ კალინოვკის კოლმეურნეობა, სადაც თავმჯდომარეა ვ. ვ. გრაჩოვი, და ბევრი სხვა. მაგრამ დაე ნუ ეწყინებათ კოლმეურნეებსა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებსა და მუშებს, რომლებმაც უკვე მიაღწიეს წარმოების ყველაზე მაღალ დონეს, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ გვინდა მოსკოვში პირველნი ვიახოთ ყამირის იმ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების წარმომადგენლები, რომლებიც მარცვლეულისა და ხორცის წარმოების მაღალ დონეს მიაღწევენ. ყამირის საბჭოთა მეურნეობები შექმნილია სუფთა ადგილზე, და მათგან ისინი, რომლებიც წარმოების მაღალ დონეს მიაღწევენ, ღირსი არიან იყვნენ პირველნი საყოველთაო-სახალხო პატივის ოქროს წიგნში. **(ტაში).**

რატომ ეხება საქმე ათას საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობას? წელს ჩვენ დავამთავრებთ სასახლის აგებას, რომელშიც გაიმართება ხოლმე ჩვენი პარტიის ყრილობები. იგი დაიტევს 6.200 კაცს. ამიტომ, თუ 1.000 საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა გამოვა ხორცის წარმოების საჭირო დონეზე, მაშინ მოსკოვში შეიძლება მივიწვიოთ ამ დარბაზში 5-6 კაცი ყოველი კოლმეურნეობიდან და საბჭოთა მეურნეობიდან და „ვიდღესასწაულოთ მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამარჯვება. **(ტაში).**

მათ შემდეგ კი მივიწვევთ სხვებს, აგრეთვე ღირსეულ ადამიანებს, რომლებიც შესანიშნავ მაგალითს უჩვენებენ მილიონობით კოლმეურნესა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს. ერთი სიტყვით, უნდა მოეწყოს მეჯიბრება იმ უფლებისათვის, რომ ღირსი გახდეთ ოქროს საპატიო წიგნში შეტანისა. ვფიქრობ, რომ ესეც ხელს შეუწყობს წარმოების ზრდას. რაც უფრო მეტ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას შევიტანთ ოქროს წიგნში, მით უფრო მალე მიაღწევს ჩვენი სოფლის მეურნეობა წარმოების მაღალ დონეს. ძალებს, რომ მოვიკრებთ, ჩვენ გავადიდებთ პროდუქტების წარმოებას, ხატოვნად რომ ვთქვათ, გავალთ გაშლილ ზღვაში, ჩვენს წინაშე გადაიშლება ახალი ჰორიზონტები და ახალი შესაძლებლობანი. და ჩვენი შრომით გადავჭრით იმ ამოცანას, რომ შევქმნით პროდუქტების სიუხვეს კომუნიზმის მშენებლებისათვის, როგორც იტყვიან, პირამდე ავავსებთ კომუნისტურ თასს. **(მქუხარე ტაში).**

ეს ამოცანა მით უფრო სწრაფად გადაიჭრება, რაც უფრო სრულად გამოიყენებენ საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები თავიანთ რეზერვებსა და შესაძლებლობებს ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

იმის დამატებით, რაც უკვე ვთქვი ყაზახეთის შესაძლებლობათა შესახებ, მინდა ყურადღება მივაქციო მეცხვარეობისა და მეფრინველეობის განვითარებას.

თვითეულ მსხვილ მეურნეობაში არის საძოვრები, საბალახოები, მაშასადამე, საბჭოთა მეურნეობას ან კოლმეურნეობას აქვს საშუალება შეინახოს თქვენს პირობებში ნაზმატყლიანი ცხვრები, ხოლო სხვა პირობებში საქურქე, საკრაველე ან სახორცე ცხვრები. ცხვარი მეტად ხელსაყრელია ყოველი მეურნეობისათვის. საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში, ამრიგად, ძროხის ხორცსა და ღორის ხორცთან ერთად აწარმოებენ ცხვრის ხორცს, ხოლო თქვენი მხარისათვის, ისე როგორც მთელი ყაზახეთისათვის, უთუოდ საჭიროა ცხვრის ხორცი, ბიშბარმაკი. **(მხიარული გამოცოცხლება).** მაშასადამე, საჭიროა მეტი ცხვრის ხორცის წარმოება.

გარდა ამისა, მეურნეობებში არის მარცვლეულის ბევრი ნარჩენი, აგრეთვე ჩალა, ბზე და სხვ. ესეც იქნება გამოყენებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, ღორის, ფრინველის გასაზუქებლად.

ცალკე უნდა ითქვას იმაზე, რომ თქვენ კარგი პირობები გაქვთ წყლის ფრინველის მოშენებისათვის. ჩვენი ქვეყნის მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ას ჰექტარ მარცვლეულის კულტურებზე ვაწარმოებთ 40 და მეტ ცენტნერ ფრინველის ხორცს. წყლის ფრინველი ყაზახეთში ხორცის წარმოების გადიდების დიდი რეზერვია.

წყლის ფრინველის მოშენების კარგი მაგალითი გვიჩვენეს საბჭოთა მეურნეობა „კუსტანაისკის“ ყოფილმა დირექტორმა სოციალისტური შრომის გმირმა ა. ა. პაკმა და კრასნოდარის მხარის კანევსკის რაიონმა.

აქ გამოვიდა ა. ა. პაკი. იგი ეკუთვნის ყაზახეთში საბჭოთა მეურნეობის მშენებელთა და ხელმძღვანელთა ძველ გვარდიას არა ასაკით, არამედ გამოცდილებით. საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, სანიმუშო მეურნეობა გახდა. ამ მეურნეობაში უნარიანად გამოიყენეს წყალსატევები. მაშინ როცა მეზობლების წყალსატევები ცარიელი იყო, ამ მეურნეობის წყალსატევები იხვებით იყო სავსე.

კარგი იქნებოდა ა. ა. პაკის გამოცდილება გამოეყენებინათ მხარის ყველა საბჭოთა მეურნეობაში. სწორედ ამიტომ იგი როგორც ავტორიტეტიანი და გამოცდილი კაცი დაიწინაურეს ყაზახეთის საბჭოთა მეურნეობების საინსტიტუტოში მეფრინველეობის ინსპექციის ხელმძღვანელად. ამ პოსტზე მას ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს, მიაღწიოს საუკეთესო შედეგებს არა ადმინისტრირებისა და იძულების გზით, არამედ მაგალითით, საქმის მოწყობის უნარით. მეთაურობს რა ინსპექციას, იგი ხშირად უნდა დადიოდეს საბჭოთა მეურნეობებში, შეარჩიოს კადრები, უნარიანად ეხმარებოდეს მათ მეფრინველეობის განვითარებაში, რათა წყალსატევები პირდაპირ სავსე იყოს წყლის ფრინველით და უწინარეს ყოვლისა იხვით. იხვები ბევრ საკვებს თვითონ შოულობენ. იხვები ჭამენ ბალახს, კარგად ჭამენ აგრეთვე დაქუცმაცებულ სიმინდსა და სხვა მწვანე საკვებს.

ამიტომ მოგმართავთ თქვენ, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს. ნუ გამოგვაყენებინებთ იძულებას. იძულებით ხომ ადამიანს, თუ თვითონ არ ესმის საქმე, ვერაფერს გააკეთებინებ. ვფიქრობ, რომ თქვენ თვითონ გესმით ხორცის წარმოების გადიდების საჭიროება, ამიტომ არ შეიძლება უგულებელყოთ ისეთი შესანიშნავი წყარო, როგორიც არის თქვენი ტბები წყლის ფრინველის მოსაშენებლად.

მე მივმართავ კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებს, ყველა კომკავშირულ ხელმძღვანელს, ახალგაზრდობას და მოვუწოდებ — წადით და ისწავლეთ ამხანაგ პაკისგან, როგორ უნდა განავითაროთ მეფრინველეობა!

შეიძლება საბჭოთა მეურნეობა „კუსტანაისკში“ და სხვა მოწინავე მეურნეობებში უნდა გავხსნათ კურსები, რათა იქ ახალგაზრდობამაც და უფრო გამოცდილმა კადრებმაც პრაქტიკულად შეისწავლონ საუკეთესო გამოცდილება მეფრინველეობის განვითარებაში.

თქვენ ყველამ მოისმინეთ აქ თავისი საქმის, თავისი პროფესიის რა სიყვარულით ილაპარაკა ჩემი მხარის ქალმა კ. ფ. ნოვიკოვამ, რომელიც ბიშკულის საბჭოთა მეურნეობის მეფრინველედ მუშაობს. იგი ყამირზე ბელგოროდის ოლქიდან ჩამოვიდა, მაგრამ ჩემი მხარისას ვუწოდებ, რადგან წინათ ბელგოროდი კურსკის ოლქში შედიოდა. ამხანაგმა ნოვიკოვამ კაოგ შედეგებს მიაღწია: შარშან მისთვის ძიჩენილი ქათმებისაგან 450 ათასი კვერცხი მიიღო. ეს დიდი მიღწევაა. გისურვებთ, ამხანაგო ნოვიკოვა, შემდგომ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ შრომაში. **(ტაში).**

უნდა მოვუწოდოთ საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეებს ხელი მიჰყონ მეფრინველეობას. დაე მცოდნე, ხალისიანი ახალგაზრდობა, რომლის წარმომადგენელნიც კარგად გამოვიდნენ აქ, სკოლის დამთავრების შემდეგ წავიდეს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების წარმოებაში. დაე მან იკისროს კონკრეტული ვალდებულება ანი ფრინველის მოშენებაში, დაეხმაროს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს მეფრინველეობის — მეურნეობის ამ მეტად დიდმნიშვნელოვანი დარგის განვითარებაში.

აი ხომ ხედავთ, მე და ამხ. პაკი როგორ ვეწევით აგიტაციას იხვის სასარგებლოდ. თუ ყურად არ იღებთ ძვირფას გამოცდილებას მეფრინველეობაში, მაშინ შეიძლება საჭირო გახდეს გაგგზავნოთ ყელ-ყურისა და ცხვირის ექიმთან, რათა მან, როგორც იტყვიან, გამოგიწმინდოთ ყური და, იქნებ, მაშინ უკეთ გაიგონოთ და უკეთ შეიგნოთ მოწოდება — განავითაროთ მეფრინველეობა. **(ტაში).**

საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა უნდა მოაშენონ ქათმებიც, გამოიყენონ მარცვლეული მეურნეობის ნარჩენები ან კომბინირებული საკვები, მოაშენონ აგრეთვე ინდაური, რომელსაც კარგი ხორცი აქვს.

უნდა გავითვალისწინოთ შემდეგ, რომ საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები დათესავენ დიდძალ საფურაჟე კულტურებს — ქერს, ბარდას, საკვებ პარკოსნებს.

პარკოსანთა ნაწილი მოხმარდება ცილის შევსებას სიმინდის სილოსში, ხოლო მარცვალფურაჟის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყენებულ იქნება ფრინველის ხორცისა და კვერცხის საწარმოებლად.

ჩემს ერთ-ერთ გამოსვლაში უკვე ვთქვი, რომ ამერიკელი ფერმერები წარმატებით ზრდიან ბროილერებს. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ იმიტომ, რომ ბროილერის ხორცი იაფი ხორცია. აიყვანენ წიწილებს და ასუქებენ განსაზღვრულ ასაკამდე, იმ პერიოდში, როცა წიწილა უფრო ინტენსიურად იზრდება. ფერმერები ხარჯავენ ორნახევარ-სამ კილოგრამ საკვებს ერთ კილოგრამ ხორცზე. ეს ძალიან ხელსაყრელი გასუქებაა.

ასეთია ხორცის წარმოების გადიდების წყაროები, ასეთია შესაძლებლობანი, რომლებიც აქვთ ყამირი რაიონების საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს. ვიმეორებ, ეს შესაძლებლობანი განსაკუთრებით დიდია.

როდის და რა ხანში მიაღწევს თვითეული კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოების ამერიკის შეერთებული შტატების დონეს, ეს დამოკიდებული იქნება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებზე, პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორულ მუშაობაზე, მუშებზე, აგრონომებზე, ზოოტექნიკოსებსა და ინჟინრებზე, რომლებიც შრომობენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

რა თქმა უნდა, თქვენ წარმოების ასეთ დონეს მიმდინარე წელს ვერ მიაღწევთ. და სწორი არ იქნება, რომ ასეთი ამოცანა მომავალი წლისათვის დავსახოთ.

ამისათვის უნდა ავამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა, ხოლო ყველაზე მთავარია მოვამზადოთ პირუტყვის ჯოგი, საკვები ბაზა, შენობები, და უზრუნველვყოთ მეცხოველეობის სამუშაოთა მექანიზაცია.

სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკმა რომ გაიგოს, ღრმად შეიგნოს და შეძლოს მოაწყოს საკვების საჭირო რაოდენობით წარმოება, ამ ამოცანის გადაწყვეტა ხუთ წელიწადშიც შეიძლება. მაგრამ როდის გადაწყდება იგი კონკრეტულად, არ მინდა დავუკავშირო გარკვეულ ვადებს, რადგან ეს დამოკიდებული იქნება არა მარტო ჩემს სურვილზე, არამედ უმთავრესად კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მუშაობაზე.

მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ ცოტაა საკვები ცერცვის თესლი. ამიტომ მინდა მოვუწოდო ინსტიტუტებისა და საცდელი სადგურების ყველა დირექტორს, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, ყველა აგრონომს გულისხმიერად მოეკიდონ საკვები ცერცვის არსებულ თესლს, რათა უფრო სწრაფად გაამრავლონ ის და თესლით უზრუნველყონ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მაშინ შესაძლებლობა გვექნება დავთესოთ საკვები ცერცვი როგორც სამარცვლედ, ისე სასილოსედ.

ყამირ მიწებზე ბევრი საბჭოთა მეურნეობა მისდევდა შაქრის ჭარხლის თესვას. ახლა, როგორც ჩანს, შაქრის ჭარხალს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ღორის ხორცის წარმოებაში. მიზანშეწონილი იქნება უკვე წელს გამოვყოთ რაღაც მინიმუმი ტექნიკა — ნიადაგდასამუშავებელი მანქანები, ჭარხლის სათესი მანქანები, იქნებ უნდა ვთხოვოთ ძველი ჭარხლისმთესველი რაიონების სპეციალისტებს ჩამოვიდნენ ყამირზე და აქ გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება, პრაქტიკულად უჩვენონ, როგორ თესონ და როგორ დაამუშაონ ჭარხალი.

საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც მეჭარხლეობას მისდევენ, უნდა შეიქმნას ჭარხლის თესვა-მოყვანის საცდელი პლანტაციები და მოეწყოს იქ სხვა საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა სწავლება. მათ უნდა გაიარონ კურსი საცდელ მეურნეობებში, დაწყებული შაქრის ჭარხლის თესვით, მოვლითა და დამთავრებული მოსავლის აღებით, რათა შეისწავლონ შაქრის ჭარხლის თესვის, მოვლის, დამუშავებისა და მოსავლის აღების ტექნიკა და ტექნოლოგია. მომავალ წელს კი ეს ადამიანები, მიიღებენ რა საჭირო ჩვევებს, შეძლებენ შაქრის ჭარხლის თესვა-მოყვანას თავიანთ საბჭოთა მეურნეობებში.

ჭარხლის მოსავლის აღების ტექნიკის შესწავლისა და გამოცდილების შეძენის მიზნით მიზანშეწონილია ყამირის მხარეს გამოეგზავნოს რამდენიმე ჭარხლის ასაღები კომბაინი. ამხანაგებო, სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი ჭარხლის თესვა-მოყვანის გამოცდილების შესწავლას. აქ საქმეს სიტყვების წარმოთქმით ვერ გუშველით, შაქრის ჭარხალი იმით როდი მოგცემთ კარგ მოსავალს, რომ მის შესახებ ხშირად ილაპარაკოთ. ვიმეორებ, კარგად უნდა ვისწავლოთ, დავეუფლოთ ტექნიკას, შევიძინოთ გამოცდილება.

იქნებ ასეთი სწავლება მოვაწყოთ არა მარტო შაქრის ჭარხლის, არამედ სიმინდის თესვა-მოყვანისთვისაც. აქაც უნდა წამოვიყვანოთ ადამიანები კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან და ვასწავლოთ საუკეთესო მეურნეობებში, საღაც ისინი პრაქტიკულ სკოლას გაივლიან და ისწავლიან უხვი მოსავლის მოყვანას.

ამისათვის უნდა იზრუნოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომაც. ახლა მისი მთავარი ამოცანაა წარმოებაში დანერგოს მეცნიერების მიღწევები, მოწინავე გამოცდილება. სამინისტრო მოწოდებულია შექმნას მოწინავე გამოცდილების სკოლები, ასწავლოს კადრებს და ამით ხელი შეუწყოს ახლის, მოწინავეს დანერგვას წარმოებაში, ხელი შეუწყოს ენერგიულ ბრძოლას ძველ ჩვეულებებს უფროსი ასაკის ადამიანებისა, — ეს ადამიანები ხელს ეშლებიან დიდ საწარმოო საქმეში.

შარშან ყამირის მხარეში ბალახებს ეკავა 1 მილიონ 968 ათასი ჰექტარი, აქედან 819 ათასი ჰექტარი — ერთწლიან ბალახებს. ერთწლიანი ბალახების მოსავალმა შეადგინა 8,8 ცენტნერი ჰექტარზე — ეს 3,5 ცენტნერი შვრიაა. მრავალწლიანი ბალახების მოსავალი მიღებული იყო 9,2 ცენტნერი ჰექტარზე, ანუ 3,7 ცენტნერი შვრია. ერთწლიან ბალახებად ითესება სათივე შვრია, ქვრიმა.

ისეთი ერთწლიანი ბალახების თესვა სათივედ, როგორიც არის შვრია და ქვრიმა, როცა მცირე მოსავალია, მოწმობს უყაირათო დამოკიდებულებას მიწისადმი. გაგებაც კი ძნელია, რატომ უკავია დიდი ფართობები სათივე შვრიას ან ქვრიმასაც კი, როცა მოსავალი 8-9 ცენტნერია ჰექტარზე. ამავე დროს სიმინდს, თუ კარგად მოვუვლით და მოვიყვანთ, შეუძლია მოგვცეს 500-600 ცენტნერი და მეტი მოსავალი ჰექტარზე. დაუფიქრდით, ამხანაგებო, საკვების წარმოების გადიდების რა დიდი რეზერვია ეს.

მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა მრავალწლიანი ბალახების შესახებ. მე მომხრე ვარ ითესებოდეს მრავალწლიანი ბალახები, განსაკუთრებით სამყურა, აგრეთვე სამყურა ტიმოთელასთან და სხვა მარცვლოვანებთან შერევით, ითესებოდეს იონჯა. ეს კულტურები ამდიდრებენ ნიადაგს აზოტით, ზრდიან მის ნაყოფიერებას და იძლევიან მშვენიერ საკვებს. მაგრამ უნდა ვისწავლოთ კარგი მოსავლის მოყვანა. ეს არის მთავარი.

შევაიარაღოთ ყამირის რაიონების საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები საჭირო ტექნიკით

თათბირზე გამოსულმა ბევრმა ამხანაგმა წამოაყენა საკითხი ტექნიკის ნაკლებობის შესახებ, იმის შესახებ, რომ საჭიროა მივაწოდოთ ყამირს მეტი მანქანები. ეს სწორი მოთხოვნაა. პარტია და მთავრობა იღებენ ღონისძიებებს ყველა სახეობის მანქანების წარმოების გადიდებისათვის.

პირველ პერიოდში, როცა საჭირო იყო ყამირის გატეხა და მარცვლეულის წარმოების გადიდება, პარტიამ და მთავრობამ ყამირის საბჭოთა მეურნეობებს გაუგზავნეს ათეულ და ასეულ ათასობით მანქანა. ახლა ჩვენ ვსახავთ ახალ ამოცანას, უფრო ძნელ ამოცანას — უზრუნველვყოთ მეცხოველეობის სწრაფი განვითარება ყამირ მიწებზე.

პირუტყვის სულადობის ზრდა მოითხოვს წლითიწლობით გავადიდოთ საკვების წარმოება. მთავარი საკვები ახლა სასილოსე სიმინდია. ბევრი ხორცის მისაღებად დაგვჭირდება ბევრი საკვები. უნდა გადაიზიდოს მილიონობით ტონა სასილოსე სიმინდი.

ყაზახეთის პირობებში ამ სამუშაოს განხორციელებისათვის ბუნება ძალიან ცოტა დროს გვაძლევს. სიმინდის მოსავლის აღება იწყება აგვისტოს დამლევს, ხოლო უნდა დავამთავროთ არაუგვიანეს 10 სექტემბრისა. ამიტომ საბჭოთა მეურნეობებს საჭირო რაოდენობით უნდა მივცეთ სილოსსასაღები კომბაინები, რათა მოკლე ვადაში დაამთავრონ სიმინდის აღება.

თუ ტექნიკა ცოტა იქნება, მაშინ საბჭოთა მეურნეობები იძულებული გახდებიან დაიწყონ მოსავლის აღება უფრო ადრე, იმ დროს, როცა მიმდინარეობს სიმინდის ინტენსიური ზრდა, ვითარდება ტარო. და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები არ დაელოდებიან სიმინდის დამწიფებას, დაიწყებენ მის ეჭრას, იმის შიშით, რომ ვერ მოასწრებენ სიმინდის აღებას ყინვებამდე.

სწორედ ასე ხდება ახლა მთელ რიგ რაიონებში. ასე ხდება ზოგჯერ იმიტომ კი არა, რომ საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ან აგრონომს არ ესმოდეს, რომ ხელსაყრელია სიმინდის მოსავლის აღება მისი განვითარების უკეთეს ფაზაში, არამედ იმიტომ, რომ ტექნიკა არ იძლევა საშუალებას ავიღოთ სიმინდი განსაზღვრულ და მოკლე ვადაში. მაშასადამე, საჭირო რაოდენობით უნდა მიეცეთ მანქანები საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს. **(ტაში).**

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უნდა გამოიანგარიშოს, რამდენი და რანაირი მანქანა არის საჭირო და მისცეს შეკვეთა მრეწველობას მხარის განაცხადების საფუძველზე. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ საჭირო მანქანებს კომპლექსურად აწარმოებდნენ.

შემდეგ ცნობილია, რომ სიმინდის მოსავლის აღების პერიოდში საჭიროა ბევრი სასილოსე მასის გადაზიდვა. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ სილოსასაღებ კომბაინებთან ერთად საჭირო რაოდენობით იყოს ავტომობილები ან მძლავრი თვლიანი ტრაქტორები და მათი მისაბმელები. ეს ტრაქტორები გამოყენებულ იქნება მინდვრის სამუშაოებზე, ხოლო სიმინდის მოსავლის აღების პერიოდში სასილოსე მასის გადასაზიდავად. როგორც ჩანს, მათ უნდა ექნეთ ორი წამყვანი ღერძი, რათა უკეთ იმუშაონ მინდვრებში.

დაუფიქრდით ამხანაგებო, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებო, ინჟინრებო, აგრონომებო, მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირებო, რა უფრო ხელსაყრელია: ამუშაოთ ავტომანქანები სილოსის გადასაზიდავად, თუ უფრო მიზანშეწონილია ორი წამყვანი ღერძის მქონე ტრაქტორები, რათა გამოიყენოთ ისინი საჭირო რაოდენობის მისაბმელთა მქონე საწევრებად და მინდვრებიდან შენახვის ადგილას გადაზიდოთ მარცვლეული, ჭარხალი, ნაჯა. რა უფრო ხელსაყრელია მეურნეობისათვის?

ხმები. საწევრები.

თქვენ ამბობთ, საწევრებიო, მეც ასე ვფიქრობ. ავტომანქანა იმუშავებს ხანმოკლე პერიოდში, წლის დანარჩენ დროს გაჩერებული იქნება. საწევარი კი შეგიძლიათ მთელი წლის განმავლობაში გამოიყენოთ მეურნეობის მომსახურებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მინდვრებში. თანაც, ცდუნება აღარ იქნება, რომ საწევრებით ინადიროთ მელიებზე ან თხებზე, საამისოდ საწევრის სიჩქარე არ კმარა. **(მხიარული გამოცოცხლება).** მაგრამ სამაგიეროდ შაქრის ჭარხლის, ნამჯის გადასაზიდავად, მინდვრებში ნაკელის გადატანისათვის ეს მშვენიერი მანქანაა, ეს ნამდვილი ცხენია საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობისათვის. **(ტაში).**

რა თქმა უნდა, საჭიროა არა მარტო საწევრები, საჭიროა ავტომანქანებიც მარცვლეულის გამოსატანად. ავტომანქანები საჭიროა იქ, სადაც ტვირთი დიდ მანძილზე უნდა გადაიზიდოს. ასეთ შემთხვევებში ავტომობილი უფრო ეკონომიური და უფრო ხელსაყრელია. მეურნეობის შიგნით კი, მინდვრებზე, საწევრები იმუშავებენ. შეგიძლიათ გამოიყენოთ ისინი ტენის დაკავებაზეც, სათოხნი კულტურების დამუშავებაზეც, ხვნაზეც კი.

როცა ტექნიკაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა შევეხოთ კადრებსაც. ყველაზე მთავარია შევქმნათ კვალიფიციური კადრები, რომლებიც დაეუფლებიან ტექნიკას, მზრუნველობით მოეპყრობიან და უნარიანად გამოიყენებენ მას.

აქ გვესწრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების კომიტეტის თავმჯდომარე გ. ი. ზელენკო. კომიტეტმა უნდა მოიფიქროს, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მექანიზატორთა კადრებს ვამზადებდეთ არა ქალაქებში, არამედ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უმთავრესად, საბჭოთა მეურნეობებში. ისინი მიწაზე იმუშავებენ, კვალიფიკაციას მიიღებენ და შეეჩვევიან პირობებს, რომლებშიც მუშაობა მოუხდებათ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. მაშინ ეს დასაფასებელი კადრები იქნებიან. **(ტაში).**

ცალკე უნდა შევეხოთ საბჭოთა მეურნეობების ელექტროფიკაციას. ამჟამად ბევრი მეურნეობა უზრუნველყოფილი არ არის საჭირო რაოდენობის ელექტროენერგიით. საჭიროა იქ, სადაც შესაძლებელია, საბჭოთა მეურნეობები ჩაირთოს ელექტროგადამცემ სახელმწიფო ქსელში ან მოეწყოს სპეციალური აგრეგატების წარმოება არა მარტო ცენტრალური ეზოსათვის, არამედ განყოფილებებისთვისაც. რა უფრო ხელსაყრელია ეკონომიურად — ეს უნდა გავიანგარიშოთ, შესაძლოა, აგრეგატების დადგმა განყოფილებებისათვის უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდეს, ვიდრე დიდი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა.

აქ გამოვიდნენ მწველავები. მათთვის მომისმენია უწინდელ თათბირებზეც. ეს შესანიშნავი ქალები, შესანიშნავი მშრომელები არიან. მათ შორის ბევრნი არიან ახალგაზრდა ქალიშვილები, რომლებსაც საშუალო სკოლა დაუმთავრებიათ. ისინი სამუშაოდ მოვიდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სწრაფად აითვისეს საქმე და შრომის არაჩვეულებრივ ნიმუშებს გვიჩვენებენ, უნარიანად უელიან ძროხებს, იღებენ დიდ ნაწველს.

მაგრამ, ამხანაგებო, ყველანი უნდა ვიხედებოდეთ წინ, ეცდილობდეთ ფართოდ დავნერგოთ მექანიკური წველა. ხელის შრომის დროს მწველავი წველის 10-12 ძროხას. თუნდაც ამდენი ძროხის ხელით მოწველა ძნელი, მე ვიტყოდი, მომქანცავი მუშაობაა. ჩვენს დროში, როცა უდიდესი წარმატებები გვაქვს ტექნიკის განვითარებაში, ეველარ შევურიგდებით, რომ ხელის შრომა სჭარბობდეს მეცხოველეობაში, კერძოდ, ძროხის წველაში. **(ტაში).** და ეს მით უფრო უნდა ითქვას, რომ შესაძლებლობა გვაქვს უზრუნველვყოთ საჭირო მოწყობილობის წარმოება. ამ ამოცანას რომ გადავწყვეტთ, მივაღწევთ იმას, რომ იგივე მწველავები, რომლებიც ახლა მომსახურებას უწევენ სულ ბევრი 10-12 ძროხას, მოწველიან 50-70 და 100 ძროხას.

ამიტომ უნდა განვახორციელოთ შრომის მექანიზაცია ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია. უნდა დავამზადოთ იმდენი საწველი აპარატი, რამდენიც საჭიროა, და პირველ რიგში მივაწოდოთ ისინი ყამირს. **(ტაში).**

ჩვენ ვისახავთ ამოცანას — სწრაფი ტემპებით განვავითაროთ მეცხოველეობა ყამირზე. მაშასადამე, წლითიწლობით გადიდდება ძროხის სულადობა. საჭირო იქნება ბევრი მწველავი. ამ საქმეს უნდა მივუდგეთ ეკონომიური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით — რა უფრო ხელსაყრელია ჩვენი ქვეყნისათვის: მოვამზადოთ ყოველი 10-12 ძროხისათვის მწველავი, მივცეთ მას ბინა, შევუქმნათ საჭირო საყოფაცხოვრებო პირობები თუ დავამზადოთ საწველი აპარატები, და ახლანდელი მწველავები მოუვლიან 50-70 ან 100 ძროხას? ბუნებრივია, რომ უფრო ხელსაყრელია დავადგეთ მექანიზაციის გზას და უარი ვთქვათ ძროხის წველის ძველ მამაპაპურ წესზე. თუმცა მე თვითონ უკვე პაპის მამა ვარ, პაპებს, ყური გაგიხდნენ, როგორც ჩანს, ახალგაზრდობაში შეთვისებული ჩვეულებისამებრ. **(მხიარული გამოცოცხლება. ტაში).**

ასეთია ეკონომიური გაანგარიშება. მაგრამ ჩვენ მარტო ეკონო-

(გაგრძელება მე-4 გვერდზე).

ყამირის საზოგადოებრივ მეცხოველეობას შევუქმნათ მტკიცე საკვები ბაზა

ამხანაგებო! საჭიროდ მიმაჩნია ვთქვა, რომ ბევრი საბჭოთა მეურნეობა პირუტყვს სიმინდის სილოსით უზრუნველყოფს არა სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანით, არამედ ფართობების გადიდებით. ხშირად იგეგმება, რომ დაითესოს ძროხაზე გაანგარიშებით 3 ჰექტარი სიმინდი ისე, რომ ჰექტარზე 60-70 ცენტნერი მოვიდეს. ეს სწორი გზა არ არის, ეს მიწისადმი უყაირათო დამოკიდებულებაა. თუ ამისათვის, რომ ერთი ძროხა გამოკვებთ, სამ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

მიური სარგებლიანობით როდი ვხელმძღვანელობთ. ჩვენ ვხელმძღვანელობთ დიდი პატივისცემის გრძნობით საბჭოთა ადამიანის შრომისადმი და იმ მისწრაფებით, რომ მაქსიმალურად შევამსუბუქოთ ეს შრომა. **(ტაში)**. მექანიზებული შრომის მნიშვნელობა არა თუ არ შემცირდება, არამედ კიდევაც გაიზრდება, თუ თვითეული ძროხის ხაწველი იქნება არა 4-5 ათასი, არამედ 2,5-3 ათასი კილოგრამი, მაგრამ სამაგიეროდ მოწველილთ არა 10-12, არამედ 50-70 და 100 ძროხას, მაშინ რძის თვითღირებულება ნაკლები იქნება, ვიდრე ხელით წველის დროს, რძე უფრო იაფი იქნება. 2.500-3.000 ლიტრი რძე შეიძლება მოიწველოს ძროხამ, როცა სილოსის მასით იკვებება. მაშინ, როგორც იტყვიან, ერთი მწველავი წელიწადში ერთ ცისტერნა რძეს კი არ მოწველის, არამედ იმდენს, რომ რძის ცისტერნების მთელი შემადგენლობა აავსოს. ამისათვის ხალხი სულით და გულით იტყვის მადლობას. **(ტაში)**.

თქვენთვის, მეყამირეებისათვის, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნიკის რემონტის, გამოყენებისა და შენახვის სწორი ორგანიზაციის საკითხებს. ამჟამად ყამირის მხარის საბჭოთა მეურნეობებში ასეულ ათასობით ტრაქტორი, კომბაინი და ავტომობილია. ბევრ საბჭოთა მეურნეობას 300-400 ტრაქტორი, კომბაინი და ავტომობილი აქვს. როცა ამდენია ტექნიკა, უნდა იყოს კარგი სარემონტო ბაზა. უკანასკნელ წლებში კი სახელოსნოების მშენებლობისადმი ყურადღება შესუსტებული იყო. მოვიყვან რამდენიმე ფაქტს. პავლოდარის ოლქში 89 საბჭოთა მეურნეობიდან მხოლოდ 21 საბჭოთა მეურნეობას აქვს სახელოსნოები. იგივე მდგომარეობაა ყამირის სხვა რაიონებშიც.

ზშირად საბჭოთა მეურნეობები ზამთრის პირობებში ბრეზენტის კარვებში აწარმოებენ მანქანების შეკეთებას. ეს სრულიად შეუწყნარებელია. ეს შეიძლებოდა რამდენიმე გასაგები ყოფილიყო პირველ წლებში, როცა საბჭოთა მეურნეობები მხოლოდ იქმნებოდა ცარიელ ველში. ახლა სხვა დროა, ახვა მოთხოვნებია. საჭიროა გვქონდეს კარგად მოწყობილი სარემონტო სახელოსნოები, უზრუნველყოთ საბჭოთა მეურნეობები სათადარიგო ნაწილებით, მიზანშეწონილია ვაწარმოოთ მანქანების კვანძები, რათა შეიძლებოდეს არა მარტო ცალკეული დეტალების, არამედ მთელი კვანძების შეცვლა.

ერთი სიტყვით, საჭიროა გაეერკვიოთ სარემონტო ბაზის ვითარებაში. ეს უნდა გააკეთონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვის გაერთიანების მუშაკებმა და ამ გაერთიანების ხელმძღვანელმა პ. ს. კუჩუმოვმა. ყამირის მსხვილ საბჭოთა მეურნეობებს სარემონტო სახელოსნოები უნდა ჰქონდეთ. მაგრამ მაშინაც, როცა სარემონტო სახელოსნოები ყველგან აშენდება, არ შეიძლება შევანელოთ მზრუნველობა და ყურადღება ტექნიკისადმ ი. მ ე ვიტყოდი ასე: მექანიზატორი ისეთივე სიყვარულით უნდა ეპყრობოდეს თავის ტექნიკას, როგორც მეომარი თავის იარაღს. მებრძოლი, რომელსაც მუდამ გაწმენდილი აქვს თავისი იარაღი, დარწმუნებულია, რომ ბრძოლაში ეს იარაღი არ უმტყუნებს. მექანიზატორი ვალდებულია ასეთსავე მდგომარეობაში ჰქონდეს თავისი ტრაქტორი თუ კომბაინი.

ყამირის საბჭოთა მეურნეობების განვითარების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხია დაბების, ფერმებისა და სამომთაბარო საძოვრების უზრუნველყოფა წყლით. უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ გადავწყვეტოთ ეს ამოცანა. ერთ შემთხვევაში, ჩანს, საჭირო იქნება წყალსადენის გაყვანა. სხვა შემთხვევაში უნდა გაიბურღოს არტეზიული ჭაბურღილები, სადაც მტკნარი წყალია. მესამე შემთხვევაში უნდა აშენდეს ჯებირები, რათა წყალი დაგროვდეს ხევებში, შეიქმნას ხელოვნური გუბურები.

მე ბავშვობა დონბასის ველებში გავატარე. იქ მდინარეები არ არის, მაღაროებში წყალსადენი არ იყო. მაგრამ როგორ უზრუნველყოფდნენ იქ მოსახლეობას წყლით ზაფხულობით? ჩრდილოეთ დონეც-დონბასის არხის მშენებლობა ხომ მხოლოდ ახლახან დამთავრდა. წინათ კი აკეთებდნენ ჯებირებს, აგუბებდნენ და აგროვებდნენ წყალს. ეს სასმელი წყალი იყო, ტექნიკური მიზნებისათვის კი მაბტის წყალს ხმარობდნენ.

ყაზახეთში ნაკლებად იყენებენ ასეთ შესაძლებლობებს, თუმცა თოვლის წყალი, როგორც ცნობილია, მშვენიერი წყალია, კირის მინარევი არა აქვს.

კარგად დაუფიქრდით ამ საკითხს. არ შეიძლება ითქვას, რომ ადგილის რელიეფი თქვენში მაგდასავით სწორი იყოს. არის ფერდობები, ხრამები, ხევები. რაკი ექსკავატორები იმუშავებენ, შეიძლება სწრაფად გაკეთდეს ჯებირი, დაგუბდეს წყალი იმ პერიოდში, როცა თოვლი დნება ან წვიმა მოდის. ამრიგად შეიძლება ბევრი წყლის დაგროვება.

რა თქმა უნდა, დროთა ვითარებაში ყამირის მხარის წყლით უზრუნველყოფა ძირეულად გაუმჯობესდება.

ალბათ, იცით, ამხანაგებო, რომ ამ ცოტა ხნის წინათ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება ყამირის მხარეში მშენებლობის შემდგომი გაშლის შესახებ. გათვალისწინებულია აშენდეს წყალსადენი რამდენიმე ათას კილომეტრზე. გამოყოფილია . ძნიშვნელოვანი სახსრები საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის. ეს გადაწყვეტილება გამოხატავს მთელი ჩვენი ხალხის ზრუნვას ყამირის საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებისა და განვითარებისათვის, იმისათვის, რომ თქვენი მხარე საბჭოთა ქვეყნის აყვავებულ მხარედ გადავაქციოთ. **(ხანგრძლივი ტაში)**. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების დასაჩქარებლად.

გავგზავნოთ ხელმძღვანელ სამუშაოზე საბჭოთა მეურნეობებში ყველაზე ღირსეული ადამიანები

ამხანაგებო! საბჭოთა მეურნეობების წარმოების აღმავლობის, ყამირის მიწების უკეთ გამოყენების ერთ-ერთი მთავარი პირობაა საბჭოთა მეურნეობების განმტკიცება ხელმძღვანელი კადრებით. ყამირი რაიონების საბჭოთა მეურნეობებში ბევრი ნიჭიერი ხელმძღვანელი აღიზარდა. ისინი წარმატებით უძღვებიან მეურნეობას. მე უკვე დავასახელე რამდენიმე საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

აკმოლინსკის ოლქის ატბასარის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „სამარსკის“ დირექტორად ყამირის ათვისების პირველი დღეებიდანვე, 1954 წლიდან მუშაობს ი. გ. ლიხობაბა, უმაღლესი განათლების მქონე აგრონომი. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ამ წლებში სახელმწიფოს მიეყიდა 7 მილიონი ფუთი პური. საბჭოთა მეურნეობამ მიიღო 13,2 მილიონი მანეთი მოგება (ძველი ფულით). ყამირის ათვისებაში თავდადებული შრომისათვის ამხ. ლიხობაბა დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

კარგად მუშაობს ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „მამლუტსკის“ კოლექტივი. იქ დირექტორად მუშაობს ბ. ნ. დვორეცკი, რომელიც დაჯილდოებულია ყამირის ათვისებისათვის. საბჭოთა მეურნეობის სათესი ფართობი 15 ათას ჰექტარს შეადგენს. მარცვლეულის მოსავალია 22 ცენტნერი ჰექტარზე, ხოლო მარცვლეულის თვითღირებულება — 18 მანეთი და 87 კაპიკი.

კუსტანაის ოლქის ფედოროვკის საბჭოთა მეურნეობაში 1958 წლიდან დირექტორად მუშაობს ინჟინერ-მექანიკოსი გ. ფ. ნიკოლენკო. იგი დაჯილდოებულია უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით. 1960 წელს საბჭოთა მეურნეობამ 22 ათას ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 15 ცენტნერი მარცვლეული ჰექტარზე. ერთი ცენტნერი მარცვლეულის თვითღირებულება 18 მანეთსა და 86 კაპიკს შეადგენს.

პატივი და დიდება თქვენ, მოწინავე საბჭოთა მეურნეობების დირექტორებო! **(ტაში)**.

ამასთანავე ყამირის რაიონებში ვხედავთ არასწორ დამოკიდებულებას კადრების შერჩევისა და აღზრდისადმი, შემჩნეულია დიდი დენადობა საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა და სპეციალისტთა შორის.

აკმოლინსკის ოლქში უკანასკნელ სამ წელიწადში საბჭოთა მეურნეობების 120 დირექტორიდან შეცვალეს 88, კუსტანაის ოლქში — 195-დან 92 და პავლოდარის ოლქში 89 დირექტორიდან 57.

ეს სრულიად შეუწყნარებელი მოვლენაა. განა შეიძლება უხელმძღვანელო მეურნეობას, თუ ასეთი დამოკიდებულება იქნება კადრების შერჩევისადმი.

პარტიის ჩრდილოეთ ყაზახეთის საოლქო კომიტეტმა 1956 წლის სექტემბერში სამუშაოდან მოხსნა ყამირის საბჭოთა მეურნეობა „ჩერკასკის“ დირექტორი ამხ. ლიშუნოვი და მის ნაცვლად დანიშნა ზვიაგინი, რომელიც რაიაღმასკომის თავმჯდომარის პოსტიდან მოხსნილი იყო ლოთობისათვის.

ამხანაგებო, ოლქის ხელმძღვანელებო, განა საბჭოთა მეურნეობა საავადმყოფოა, რომელშიც ლოთობისაგან მკურნალობენ? რატომ გზავნით იქ ლოთებს? **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში)**. ლოთების მკურნალობის საუკეთესო საშუალებაა მათი გარიცხვა პარტიიდან და არა ადგილიდან ადგილზე გადაყვანა: ერთ ადგილზე ლოთობდა, მერე სხვაგან გზავნიან. ბოლო უნდა მოეღოს კადრების შერჩევის ასეთ მანკიერ პრაქტიკას. თუ კაცს მუშობა არა სურს, საჭიროა სათანადო ღონისძიება, რომ მან იშრომოს და არ ლოთობდეს. **(ტაში)**.

მაგრამ რა მოხდა შემდეგ საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ლოთი გაგზავნეს დირექტორის პოსტზე? სამი თვის შემდეგ ზვიაგინი გაათავისუფლეს დირექტორის მოვალეობისაგან, რადგან თავი ვერ გაართვა სამუშაოს. მის ნაცვლად კი სასწრაფოდ გაგზავნეს ამხ. არეფიევი. ნახევარი წლის შემდეგ ეს დირექტორიც მოხსნეს, დანიშნეს ყოფილი პროფკავშირული მუშაკი ამხ. ზვეროვსკი. რომელიც ცუდად იცნობდა წარმოებას. მალე ისიც მოხსნეს სამუშაოდან. ახლა საბჭოთა მეურნეობაში მეხუთე დირექტორია. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ საბჭოთა მეურნეობა წლითიწლობით ვერ ასრულებს პროდუქტების წარმოების გეგმებს, ზარალი მოაქვს.

ზშირად საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს თანამდებობიდან ათავისუფლებენ ისე, რომ საკმაო საფუძველი არა აქვთ, ათავისუფლებენ ცალკეული ხარვეზებისათვის მუშაობაში.

პარტიის პავლოდარის ოლქის ერმაკის რაიკომმა 1959 წლის სექტემბერში, როცა გაჩაღებული იყო მოსავლის აღება, სამუშაოდან მოხსნა საბჭოთა მეურნეობა „ლენინ-ჟოლის“ დირექტორი ამხ. ბეკენ ალპისპაევი პურის გადაადგილების რაიონული გრაფიკის შეუსრულებლობისათვის.

ხედავთ, რაიკომს უნდოდა კარგად გამოეჩინა თავი და გადამდე შეესრულებინა პურის გაყიდვის გეგმა. ეს მკვეხარა ხელმძღვანელები არიან და არა სერიოზული ადამიანები. რატომ უნდა შეგაჩეროთ ყველა სამუშაო იმისათვის, რომ ვადამდე შესრულდეს პურის დამზადების გეგმა? ეს არასწორია და ზიანს აყენებს საქმეს. თუ არის შესაძლებლობა ვადამდე შეასრულო გეგმა, შეასრულე, ხოლო თუ არ შეგიძლია, ეცადე დავალება ვადაზე შეასრულო. გეგმების წარმატებით და ვადაზე შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში ადამიანებს ორდენებით აჯილდოებენ. ერმაკის რაიკომი კი სამუშაოდან ხსნის იმისათვის, რომ გეგმა ვადამდე არ შეასრულეს. არ შეიძლება ასე ვიქცეოდეთ. **(ტაში)**. ორი კვირის შემდეგ რაიკომი იძულებული გახდა გაეუქმებინა თავისი გადაწყვეტილება, რადგან საბჭოთა მეურნეობამ ამ დროისათვის მთლიანად შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმა.

ამხანაგებო, არ შეიძლება საბჭოთა მეურნეობის დირექტორის აბუჩად აგდება. თუ პარტიამ ხელმძღვანელ სამუშაოზე დაგაყენათ და ნდობა გაგიწიათ, უნდა აფასებდეთ ამ ნდობას. ნუ გგონიათ, რომ რაკი პარტიის რაიკომის მდივნად აგიჩიეს, შეგიძლიათ ყველაფერი მოიმოქმედოთ. საჭიროა პატივს სცემდეთ ადამიანებს. **(ტაში)**. რაიკომის ასეთი მდივანი პარტიულ კონფერენციაზე კომუნისტებს შეუძლიათ გააშავონ. და ეს ცუდი არ იქნება. **(მხიარული გამოცოცხლება. ტაში)**.

ვიმეორებ, საჭიროა პატივს სცემდეთ პარტიის წევრებს, მაშინ პარტიის წევრები პატივისცემით მოეკიდებიან თავიანთ ხელმძღვანელს. **(ტაში)**. არ უნდა მბრძანებლობდეთ ადამიანებს. ჩვენში ბრძანების უფლება მინიჭებული აქვთ საბჭოთა არმიის ოფიცრებს. არმია ისეთი ორგანიზაციაა, სადაც საჭიროა ბრძანებები. მაგრამ არმიაშიც კი ჭკვიანი მეთაური ყოველთვის ეყრდნობა პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. რაც უფრო მჭიდროდ არის იგი დაკავშირებული პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან. მით უფრო მტკიცეა დისციპლინა ნაწილში, მით უფრო წარმატებით ხელმძღვანელობს ჯარს მეთაური. **(ტაში)**.

მაგრამ თუ აღზრდისა და დარწმუნების ძალას ასეთი მნიშვნელობა აქვს არმიაში, რაღა შეიძლება ვთქვათ სამეურნეო მშენებლობის შესახებ, მარცვლეულის, ხორცის, რძის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლის შესახებ. აქ ხალხს უნდა აღვაფრთოვანებდეთ, ვარწმუნებდეთ და არა ვმბრძანებლობდეთ. მათრახით ცხენიც კი ცუდად მუშაობს, არათუ ადამიანი. თუ ხელმძღვანელი ცდილობს მბრძანებლობას, ეს ნიშნავს, რომ არ შეუძლია ჭკუის ძალით მოახდინოს გავლენა იმ ადამიანებზე, რომლებსაც ხელმძღვანელობს. ეს მოწმობს, რომ ასეთი ხელმძღვანელი მოწყვეტილა მასას. ასეთი ადამიანები უნდა შევცვალოთ. **(ტაში)**.

მეტ ზრუნვას უნდა ვიჩენდეთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის. უკანასკნელ სამ წელიწადში ყაზახეთის ყამირ რაიონებში გაიგზავნა 24 ათასი სპეციალისტი, ხოლო ამ რაიონებიდან სხვაგან წავიდა 14 ათასი კაცი. ასეთი დენადობის ძირითადი მიზეზია უყურადღებობა სპეციალისტების საჭიროებებისადმი, მათი საყოფაცხოვრებო მოწყობისადმი.

საბჭოთა მეურნეობაში გადამწყვეტი ფიგურა საბჭოთა მეურნეობის დირექტორია. საბჭოთა მეურნეობის დირექტორი წარმოების ორგანიზატორია. ამიტომ ყველაზე ძლიერი და უნარიანი ადამიანები უნდა წამოვაყენოთ საბჭოთა მეურნეობის დირექტორის პოსტზე. სუსტ ადამიანებს უნდა დავეხმაროთ ან შევცვალოთ, არ დაველოდოთ, სანამ ისინი სამუშაოზე არ ჩაფლავდებიან.

ამხანაგებო! მე მრავალი წელია, კაცმა რომ თქვას, მთელი ჩემი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე, პარტიულ სამუშაოზე ვმუშაობ: ვიყავი პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი, პარტიის რაიკომისა და საოლქო კომიტეტის მდივანი და ახლა ვარ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. ცხოვრების დიდმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ყველა ჩვენმა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა და კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კარგად რომ იცოდეს საქმე, უნარიანად უძღვებოდეს მეურნეობას, მაშინ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ამოცანები უფრო წარმატებით გადაწყდებოდა.

რამდენჯერ წავსულვარ კარგ კოლმეურნეობაში ან საბჭოთა მეურნეობაში, რათა მესწავლა იქ, მომესმინა საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ან კოლმეურნეობის თავმჯდომარისათვის, მენახა, თუ როგორ უძღვება მეურნეობას, შემეძინა გამოცდილება, რათა წავსულიყავი სხვა, უფრო სუსტ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და დავხმარებოდი მათ წარმოების ორგანიზაციაში.

თქვენში კი ზშირად ხდება ასე, რომ ცდილობენ საბჭოთა მეურნეობის კარგი დირექტორი რაც შეიძლება მალე დააწინაურონ რომელიმე რაიონულ ან საოლქო ორგანიზაციაში. თუ რაიონულ აპარატში რომელიმე უბანი მოიკოჭლებს, ეს, რა თქმა უნდა, კარგი არ არის და უნდა განვახორციელოთ საჭირო ღონისძიებანი, მაგრამ შეუწყნარებელია, რომ საბჭოთა მეურნეობა ჩამორჩებოდეს. ამისათვის საჭიროა **საბჭოთა მეურნეობების სათავეში კარგი დირექტორები იყვნენ. (ტაში)**.

თუ საბჭოთა მეურნეობაში არ იქნება კარგი, ჭკვიანი, თავისი საქმის მცოდნე ორგანიზატორი, თქვენ ვერაფრით — ვერავითარი დირექტივით, ვერავითარი გონივრული სიტყვით ვერ გამოასწორებთ საქმეს. აქ ვერაფერს უშველით, გარდა ერთი რამისა, რომ რაც შეიძლება მალე მოაშოროთ უვარგისი მუშაკი და მის ადგილას შეარჩიოთ ღირსეული ხელმძღვანელი. **(ტაში)**.

საბჭოთა მეურნეობების დირექტორები ყოველი სამუშაოდან უნდა შევარჩიოთ, ოლქში იქნება თუ რაიონში. საბჭოთა მეურნეობებიდან კი არ უნდა მიგგეყავდეს რაიონებში ძლიერი ადამიანები და ამით ვასუსტებდეთ საბჭოთა მეურნეობებს, არამედ, პირიქით, რაიონებიდან და ოლქებიდან უნდა მიგვყავდეს და ვგზავნიდეთ საბჭოთა მეურნეობებში, იმიტომ რომ ყამირის მხარეში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთავარი სფერო საბჭოთა მეურნეობაა. საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, მთავარი აგრონომი, ინჟინერები, ზოოტექნიკოსები და სხვა კადრები უზრუნველყოფენ წარმოების ორგანიზაციას საბჭოთა მეურნეობაში.

ამიტომ საჭიროა, რომ პარტიის საოლქო კომიტეტებმა განიხილონ ყველა ეს საკითხი, მიიღონ საჭირო გადაწყვეტილება საბჭოთა მეურნეობების კადრებით განმტკიცებისათვის და მოახსენონ ეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

არ მინდა ვაწყენინო ძველ, დამსახურებულ ხელმძღვანელებს. ჩვენ, მოხუცებმა, ვიმუშავეთ, და ცუდად როდი ვიმუშავეთ, მაშ მოდით, ამხანაგებო, ჩვენს სიცოცხლეშივე მივცეთ შესაძლებლობა ახალგაზრდობას იმუშაოს ხელმძღვანელ პოსტებზე. ჩვენ შეგვიძლია ვუკარნახოთ, რჩევა მივცეთ ახალგაზრდებს. მათ გამოცდილება ნაკლები აქვთ, მაგრამ ცოდნა როდი აქვთ ნაკლები, მათ კარგი განათლება, ახალგაზრდული ხალისი, ენერგია აქვთ, სწამთ წარმატება დიადი საქმისა, რომელიც მათმა მამებმა და პაპებმა დაიწყეს. **(ტაში)**.

მე უკვე ვილაპარაკე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. მ. კავუნზე (ვინიცის ოლქი). იგი 32 წლისაა და უკვე ცხრა წელია კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობს და კარგადაც მუშაობს. თქვენშიც დავასახელე საბჭოთა მეურნეობის დირექტორი 23 წლის ამხ. ხრისტენკო — ნიჭიერი ორგანიზატორი. არ უნდა გვეშინოდეს ახალგაზრდობის დაწინაურებისა. როცა ოქტომბრის რევოლუცია მოხდა, ბევრი ჩვენგანი, კომუნისტი, მაშინ 20-23 წლისა იყო. ხალხი კი გვირჩევდა, გვენდობოდა. და ჩვენ მაშინ მიგვაჩნდა, რომ ახალგაზრდები როდი ვიყავით. მე მაშინ გამოვედი კომკავშირელის ასაკიდან და მოხუცად ვითვლებოდი კომკავშირელებს შორის. ახლა კი კაცი 30-35 წლისაა და ეუბნებიან, სად მოძვრები, შე ლაწირაკო? **(სიცილი. ტაში)**.

ეს არ არის სწორი დამოკიდებულება ახალგაზრდა კადრების აღზრდისადმი. ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია. სწორედ მათ, ახალგაზრდებმა, უნდა იმუშაონ ამჟამად, მათ უნდა აშენონ კომუნიზმი, მათ უნდა იცხოვრონ კომუნიზმის დროს! მაშ დაე მათ ჩვენი ხელმძღვანელობით იშრომონ, რათა შეგვეძლოს გადავცეთ მათ ჩვენი პარტიის მდიდარი გამოცდილება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში. **(ტაში)**.

ეტყობა, ისეთი წესი უნდა დავადგინოთ, რომლის დროსაც ყამირის მსხვილი საბჭოთა მეურნეობების დირექტორების გადაყვანა-გადმოყვანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დასტურით ხდებოდეს. **(ტაში)**.

ამხანაგებო! საჭიროა გადაჭრით აღმოვფხვრათ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროკრატიული მეთოდები. პარტიის ზოგიერთი რაიკომი თავს ანებებს კოლმეურნეობებს ვალდებულებებს, ზემოდან უკარნახებს ამ ვალდებულებებს. ამას წინათ პავლოდარის ოლქის პარტიის ციურუპას რაიკომმა და რაიაღმასკომმა შემდეგი დირექტივა გაუგზავნეს ბოგდან ხმელნიცკის სახელობის საბჭოთა მეურნეობას:

„ბოგდან ხმელნიცკის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ამხ. გერასიმენკოს პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. გოსტიშჩევს 1961 წლის 7 თებერვალი.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი და ყაზახეთის კომპარტიის რაიკომის ბიურო გატყობინებთ თქვენ გეგმას დაგირჩევთ სახელმწიფოსა თ ვ ი ს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის ჩაბარებისა და მიყიდვის 1961 წლის ვალდებულებებს თქვენს მეურნეობაში. მარცვლეული სულ ცენტნერობით გეგმა 185 ათასი, ვალდებულებანი 192 ათასი. ხორცი ცოცხალი წონით ცენტნერობით: გეგმით — 1000, ვალდებულებით — 1050. რძე გეგმით — 4.200 ცენტნერი, ვალდებულებით — 4.200 ცენტნერი.

გავალებთ განიხილოთ და დაამტკიცოთ გეგმა და იკისროთ სოციალისტური ვალდებულებანი მეურნეობის, თვითეული ფერმის, ბრიგადისა და ცალკეული პირების მიხედვით. რაიკომსა და რაიაღმასკომში ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმოდგენის ვადაა 1961 წლის 15 თებერვალი.

ციურუპას რაიკომის მდივანი — პ. ანტონოვი.
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — ა. ილიუშჩენკო“.

აი დირექტივაც ამას ჰქვია! **(გამოცოცხლება დარბაზში)**.

როგორც ჩანს, ამხანაგებო, ეს დირექტივა წინასწარ დაუბეჭდავთ და შემდეგ შესაბამის გრაფაში ჩაუწერიათ, თუ რომელი საბჭოთა მეურნეობისათვის რა ვალდებულება დაეწესებინათ. მაგრამ ვისი ვალდებულებანი იქნება ეს — საბჭოთა მეურნეობის კოლექტივისა თუ რაიონული ორგანიზაციებისა? ეს რაიონული ორგანიზაციების ვალდებულებებია.

იბადება კითხვა, ვალდებულებებში საბჭოთა მეურნეობების დაუკითხავად რატომ არის წინასწარ განსაზღვრული ამა თუ იმ პროდუქციის წარმოების ოდენობა? შეიძლება საბჭოთა მეურნეობამ ან კოლმეურნეობამ ვერ გაიკეთოს ეს, ანდა იქნებ მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ მეტი პროდუქცია აწარმოონ? ამაში პარტიის საოლქო კომიტეტის ან სამხარეო კომიტეტის ხელი ხომ არ ურევია? **(გამოცოცხლება დარბაზში)**.

ხმა. შესაძლოა!

შეუძლებელია, რომ პარტიის საოლქო კომიტეტმა ეს არ იცოდეს, ხოლო თუ არ იცოდა, უნდა ვკითხოთ, რატომ? **(მხიარული გამოცოცხლება)**.

ეს პარტიულ-მასობრივი მუშაობის მეთოდების, შეჯიბრების პრინციპების დამახინჯებაა. ასეთი მოვლენები უნდა აღმოიფხვრას. ეს ფაქტი გამოქვეყნდება ჩემს სიტყვაში. კაცმა რომ თქვას, იგი უკვე გახმაურდა, რადგან ჩემს გამოსვლას რადიოთი გადასცემენ. **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში)**. მაშ ასე, კარგისათვის გაქებთ, ნაკლოვანებებისათვის კი გაკრიტიკებთ. მიიღეთ ქებაც და კრიტიკაც. **(გამოცოცხლება დარბაზში)**.

ვალდებულებანი თვითონ კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა უნდა შეიმუშაონ. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება უფრო სრულად გამოვიყენოთ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების წარმოების შესაძლებლობანი.

მოკლედ ვილაპარაკებ საბჭოთა მეურნეობების დაბების, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებებისა და მარცვლეულის საწყობების მშენებლობის საკითხებზე. იმ პირობებში, როცა ყამირზე დიდი მშენებლობა მიმდინარეობს, საჭიროა შევიმუშაოთ კონკრეტული რეკომენდაციები, შევქმნათ საბჭოთა მეურნეობების განაშენიანების ტიპური პროექტები. საბჭოთა მეურნეობების დაბებში უნდა ვაშენებდეთ მრავალბინიან სახლებს საჭირო სათავსებით. მშენებლობა ყამირზე ინდუსტრიული მეთოდებით უნდა წარმოებდეს.

ელევატორების მშენებლობასთან ერთად უნდა ვაშენებდეთ საბჭოთა მეურნეობების შორიულ მარცვლეულის საწყობებს. ეკონომიურად ხელსაყრელია, რადგან ტალღები — ბალღები ... [illegible] ... ბანქაბში მარცვლეულის გადასაზიდავად მოსავლის აღების პერიოდში, უკეთ შეინახება პური.

უნდა ვიფიქროთ საშენებლო ბაზაზე, რათა ადგილობრივ მზადდებოდეს საშენი დეტალები რკინაბეტონისაგან, რათა მინიმუმამდე შევამციროთ ხე-ტყის გამოყენება. თქვენში ველია, აქ უფრო ხელსაყრელი და ადვილია უზრუნველყოთ მშენებლობის საჭიროებანი რკინაბეტონით, ვიდრე ხე-ტყით. ხე-ტყისაგან მხოლოდ ის უნდა ვაკეთოთ, რაც ბეტონით არ შეიძლება შეიცვალოს, — იატაკი, კარი, ფანჯრის ალათა და სხვა დეტალები.

მე ერთი თვალის გადავლებით ვნახე, თუ როგორ აშენებენ აკმოლინსკში, და თუმცა არაფერი მითქვამს ხელმძღვანელებისათვის, მაგრამ სავსებით აშკარაა, რომ ასე შენება არ შეიძლება. ამიტომ გუშინ დავურეკე მოსკოვს და ვთხოვე გამოგზავნონ მშენებლები. აქ ჩამოვიდნენ მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის პრეზიდენტი ვ. ა. კუჩერენკო, სახმშენის თავმჯდომარე ი. ა. გრიშმანოვი, მინისტრი ვ. ე. დიმშიცი. მე ვთხოვე მათ ჩამოიყვანონ აქ სპეციალისტები, რომლებმაც იციან სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის — საბინაო და საწარმოო მშენებლობის დაპროექტება. ხვალ ჩვენ შევიკრიბებით, რათა განვიხილოთ ყამირზე მშენებლობის გადაუდებელი საჭიროებანი. **(ტაში)**.

რამდენიმე სიტყვა საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა შესახებ. თათბირზე სოფლის მეურნეობის შესახებ, რომელიც გასული წლის ზაფხულში გაიმართა მოსკოვში, ზოგიერთი ამხანაგი ამბობდა, საბჭოთა მეურნეობებში განყოფილებები საჭირო არ არსო. ეს სწორი არ არის. ასეთ გზას რომ დავადგეთ, მეცხოველეობას მოეწყვეტოთ საკვებ ბაზას, დიდი ხარჯების გაწევა დაგვჭირდება იმისათვის, რომ საკვები მინდვრებიდან ცენტრალურ ეზოში გადავიტანოთ. ნაკელის გაზიდვაც დიდ მანძილებზე მოგვიხდება. ყამირზე დიდი საბჭოთა მეურნეობებია და იქ საჭიროა განყოფილებები. სწორად უნდა შევარჩიოთ ადგილი განყოფილებებისათვის, ავაგოთ იქ საჭირო სამეურნეო შენობები, საერთო საცხოვრებლები. განყოფილებათა ცენტრების განლაგების პრინციპი ასეთი უნდა იყოს: საკვები პირუტყვს მიუახლოოთ, ნაკელი მინდორს.

განყოფილებათა მშენებლობა დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო საკითხია, და იგი სწორად უნდა გადაიჭრას.

ამ თათბირზე გამოვიდა მ. ე. დოვჟიკი — სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი. მან ტყის ზოლებზე ილაპარაკა. ტყის ზოლები უნდა შეიქმნას. მაგრამ აქ საჭიროა ვიფიქროთ ტყის ზოლების გაშენების უფრო ეფექტიან ხერხებზე. მე ტყის ზოლების მომხრე ვარ, მაგრამ მათი გაშენება გონივრულად უნდა მოეწყოს. ჩვენ ძალიან ბევრი სახსრები დავხარჯეთ ტყის ზოლების შესაქმნელად, ხოლო ტყის ზოლები მაინც ცოტაა.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ა. ა. გრომიკოსა და დ. რასკის შეხვედრა

ვაშინგტონი, 19 მარტი. (საკდესი). გუშინ აქ 18 საათზე ვაშინგტონის დროით დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დინ რასკისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს ხუთსაათიანი შეხვედრა.

შეხვედრის შედეგად გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომუნიკე, რომელშიც აღნიშნულია, რომ ა. ა. გრომიკოსა და დ. რასკს ჰქონდათ „გულახდილი საუბარი საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ურთიერთსაინტერესო სხვადასხვა საკითხებზე“.

შემდეგ კომუნიკეში გამოთქმულია იმედი, რომ ეს საუბარი უზრუნველყოფს ორივე მთავრობის პოზიციების უკეთ გაგებას დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებზე და ხელს შეუწყობს ამ საკითხთა შემდგომ განხილვას.

კომუნიკე ა. ა. გრომიკოსა და დ. რასკის შეხვედრის შესახებ

ვაშინგტონი, 18 მარტი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა შემდეგი ერთობლივი კომუნიკე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დ. რასკის შეხვედრის შესახებ:

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს დინ რასკს ჰქონდათ ზოგადი ხასიათის საუბარი ორივე ქვეყნისათვის საინტერესო საერთაშორისო საკითხებზე. საუბარს ორივე მხრივ ესწრებოდნენ აგრეთვე მრჩეველები.

საუბარი გაიმართა 18 მარტს საუზმის დროს სახელმწიფო დეპარტამენტში და გრძელდებო